საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 2

პარასკევი 7 დეკემბერი, 1990.

ფასი 3 კაპიკი

ხელისუფლების დერეფნებში

თურქი პარლამენტარები საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) დეპუტატთა კავშირის პრეზიდენტი ბატონი ჰასან კორკ მაზ-ჯანი და კავშირის გამგეობის წევრი ბატონი ეჰმედ ალთუნი.

თურქეთის პარლამენტისა და კავშირის წევრთა სახელით ბატონმა ჰ. კორკ მაზ-ჯანმა მიულოცა ბატონ ზვიად გამსახურდიას პირველად საქართველოს ისტორიაში ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს პოსტზე არჩევა და თურქი ერის სახელით წარმატებები და ბედნიერება უსურვა ახალ დამოუკიდებელ საქართველოს, მის ხალხს.

ჰ. კორკ მაზ-ჯანმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ამიერიდან ხალხის ნებით მხოლოდ პროგრესული და დემოკრატიული გზით განვითარდება, ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გვერდით. სამტროდ განწყობილი წრეების პროპაგანდა ათასგვარ მონაჭორს ავრცელებს ჩვენი ქვეყნების სამომავლო კონტაქტებზე, ცდილობს, ეჭვი შეიტანოს მის სასიკეთო მისწრაფებებში, სიცოცხლისუნარიანობასა და საიმედოობაში, — აღნიშნა მან.

იმპერიული პროპაგანდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძირითად არგუმენტად იყენებს ე. წ. თურქეთის საფრთხეს, რითაც შეცდომაში შეჰყავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა და ეჭვს თესავს თურქეთის რესპუბლიკის კეთილგანწყობაში საქართველოსთან ურთიერთობისას, — ხაზი გაუსვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

გადაწყდა, ევროპარლამენტის მორიგი სემინარი, რომელიც დაწყებულია თურქეთში, მომავალ წელს საქართველოში გაგრძელდეს.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა ჰ. კორკ-მაზ ჯანსა და ე. ალთუნს და მათი სახით თურქეთის პარლამენტსა და ერს კეთილი სურვილებისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბატონი თამაზ გამყრელიძე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება პროგრამა „ვრემიაში" 28 ნოემბერს გადაცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებას არა აქვს იურიდიული საფუძველი უკვე იმ მიზეზით, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლის დამოწმება საფუძველს მოკლებულია. ეს მუხლი სსრ კავშირის გამგებლობას მიაკუთვნებს (მუხლი 78, პუნქტი 7) მხოლოდ „საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საერთო ხელმძღვანელობას". საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის განმტკიცება, რაც გამოიხატა მისი მთელი რიგი წევრების შეცვლით, არ ეწინააღმდეგება საკავშირო-რესპუბლიკური სტრუქტურის აგების კონსტიტუციურ პრინციპს, მის ფუნქციონირებას. მოთხოვნა ეგრეთ წოდებულ „ცენტრთან" ამ პოსტის კანდიდატურების შეთანხმების შესახებ არის გადმონაშთი მართვის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემისა, რომელიც პარტიული ნომენკლატურის ტყვეობაში იყო, და ეწინააღმდეგება დემოკრატიის ელემენტარულ გაგებას, მით უმეტეს, ფორმალურად გამოცხადებულ „მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს".

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველოს არა აქვს რეალური სუვერენიტეტი, თვით ის უფლებებიც კი, რომლებიც ფორმალურად არის დამკვიდრებული სსრ კავშირის კონსტიტუციით. 1990 წლის 26 აპრილის კანონის დამოწმება უნიადაგოა, რადგან უხეშად არღვევს სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის საფუძვლებს, რომლებიც დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და გამომდინარეობს 1922 წლის ხელშეკრულებიდან სსრ კავშირის შექმნის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ამ კანონის მოქმედება შეჩერებულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1990 წლის 20 ივნისიდან.

ეს, რაც შეეხება საკითხის ფორმალურ მხარეს, რადგან სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებაში ხაზგასმულია შექმნილი სიტუაციის სწორედ იურიდიული ასპექტი.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მოქმედების შეფასებისას.

საქართველო შეყვანილ იქნა სსრ კავშირის შემადგენლობაში 1921 წლის თებერვალში მაშინდელი საბჭოთა რუსეთის მხრივ აგრესიის შედეგად, რაც გამოიხატა ინტერვენციითა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918 წელს კანონიერად შექმნილი მთავრობის დამხობით. საქართველოს ოკუპაციამ და მისმა შემდგომმა ფაქტობრივმა ანექსიამ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეშვეობით სსრ კავშირის შემადგენლობაში შეყვანის გზით განსაზღვრეს კავშირში საქართველოს ფაქტობრივი სტატუსიც. საქართველოს რესპუბლიკის ახალმა პარლამენტმა — უზენაესმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ხალხმა არჩია დემოკრატიულ, მრავალპარტიულ საფუძველზე, გამარჯვებამდე მიიყვანა ის პარტიები, რომლებიც ესწრაფვიან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. გამოცხადდა ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევის გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქართველოს რესპუბლიკა იძულებულია იყოს სსრ კავშირის შემადგენლობაში, ითვალისწინებს რა შექმნილ პოლიტიკურ და იურიდიულ რეალიებს. მაგრამ, ასეთ ვითარებაშიც საქართველოს უფლება აქვს განახორციელოს მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის ღონისძიებები, თავიდან აიცილოს დესტაბილიზაციის შესაძლებლობა, განამტკიცოს უწინარეს ყოვლისა სწორედ სამართალდამცველი ორგანოები, მათ შორის რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც, რის გარეშეც შეუძლებელია წინსვლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზით.

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლესი პოსტების კანდიდატურათა „ცენტრთან" შეთანხმების მოთხოვნა ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ რესპუბლიკის მთავრობის ეს მოქმედება მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ ამერიკელი ჟურნალისტის ედმუნდ სტივენსისადმი

— 1990 წლის 25 მარტს დანიშნული არჩევნების წინ მოეწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელზეც თქვენ მოუწოდეთ ხალხს, გამოეცხადებინა ბოიკოტი არჩევნების, საქართველოს უზენაესი საბჭოს, ოპოზიციური ეროვნული სათათბიროს შექმნისადმი, ხოლო არჩევის შემთხვევაში უზენაესი საბჭოს თვითლიკვიდაცია უნდა გამოეცხადებინა (ცნობა ამის შესახებ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა 1990 წლის 18 მარტს). ახლა თქვენ არათუ მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, არამედ თავმჯდომარეც ბრძანდებით სწორედ იმ უზენაესი საბჭოსი, რომლის ლიკვიდაციასაც მოუწოდებდით სულ რამდენიმე თვის წინ. მით უმეტეს, იმავე კონფერენციის გადაწყვეტილებით გამოცხადდა, რომ ეროვნული მოძრაობიდან უნდა გაირიცხონ საზოგადოებრივი გაერთიანებანი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში.

— 1990 წლის 25 მარტს დანიშნული ერთპარტიული არჩევნები ანტიდემოკრატიულ პრინციპებს ემყარებოდა და ვერ გახდებოდა საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი. სწორედ ამიტომ გამოვუცხადეთ ჩვენ ბოიკოტი ამ არჩევნებს. მაგრამ, როდესაც „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ბლოკის ძალისხმევისა და აქციების მეოხებით მიიღეს არჩევნების ახალი კანონი, შესაძლებელი გახდა გამართულიყო თავისუფალი, მრავალპარტიული, და არა საბჭოური არჩევნები. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ ჩვენ მონაწილეობა ამ არჩევნებში და ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. ასე რომ, ახლა მე ვთავმჯდომარეობ არა „იმ უზენაეს საბჭოს, რომლის ლიკვიდაციასაც მოვუწოდებდი", არამედ ახალ მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოს, რომელიც უკვე აღარ არის საბჭოური სტრუქტურა და რომელსაც ღირსეულად უწოდებენ საქართველოს ეროვნულ პარლამენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა წინა არჩევნებისაგან განსხვავებით ჩაიარა საბჭოთა კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე — სხვადასხვა პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა მმართველმა საბჭოთა ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. მეთვალყურეებად მოწვეული გვყავდნენ საზღვარგარეთელი ექსპერტები. ასეთ პირობებში ჩაიარა თავისუფალმა არჩევნებმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ნების ერთადერთ გამომხატველად მოგვევლინა.

— თქვენმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა — ჭანტურიამ და წერეთელმა — გამართეს ეროვნული კონგრესის არჩევნები. როგორ წარიმართება, თქვენი აზრით, ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების არსებითად ორ სტრუქტურას შორის? მით უმეტეს, რომ თქვენც და თქვენს ოპონენტებსაც განზრახული გაქვთ მოაწყოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები. გაზეთებში ხშირად წერენ მრგვალი მაგიდის ლიდერებსა და ეროვნული კონგრესის მომხრეებს შორის წამოჭრილ კონფლიქტზე, თანაც თურმე სიტყვიერი შეხლა-შემოხლიდან საქმე მიდიოდა ძალის გამოყენებამდე, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტებამდე. როგორ გესახებათ თქვენ ეროვნულ კონგრესთან შემდგომი თანაარსებობა? და კიდევ, საქართველოს მომავალი, როგორც თქვენი წინასაარჩევნო პროგრამიდან ჩანს, თქვენ გესახებათ სრულ თავისთავადობად და დამოუკიდებლობად. მიუხედავად ამისა, ეროვნულ კონგრესში შემავალი თქვენი ოპონენტები არაორაზროვნად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ისრაელის მსგავსი გასამხედროებული სახელმწიფოს შექმნას და ნატოს ბლოკში შესვლას. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხში?

— რაც შეეხებათ ჩემს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მათ არ გაუმართავთ არავითარი ნამდვილი არჩევნები. ეს იყო გაყალბებული არჩევნები, რომლებშიც საქართველოს მოსახლეობის ორ პროცენტსაც არ მიუღია მონაწილეობა. მათ არ გამოუქვეყნებიათ დეტალური მონაცემები რაიონებისა და უბნების მიხედვით, ისინი არ შეუმოწმებიათ საზღვარგარეთელ ექსპერტებს, ასე რომ, თვითმარქვია „ეროვნული კონგრესი" არავითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს, და მით უმეტეს არ არის „ხელისუფლების სტრუქტურა", როგორც თქვენ მოიხსენიეთ. ისინი მფარველობენ რაიონებში მოკალათებულ შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც ტერორში ამყოფებენ და ძარცვავენ მოსახლეობას — აი, მთელი მათი „მოღვაწეობა". და კონფლიქტები მათთან მხოლოდ და მხოლოდ ამ ნიადაგზე მოგვდის. შემდგომი „თანაარსებობა" აგრეთვე დამოკიდებულია იმაზე, განუდგებიან თუ არა ისინი კრიმინალურ მაფიას, რომელიც ამდენ ავკაცობას სჩადის საქართველოში. ჩვენთვის მიუღებელია კონგრესის პოლიტიკური „იდეები", რომლებიც მოგვიწოდებს გამოვაცხადოთ საქართველო კოლონიურ ქვეყანად, მიუღებელია, რადგან მიგვაჩნია, რომ კოლონიურ ქვეყანას იურიდიულად ართმეული აქვს უფლება, მოაწყოს თავისუფალი და მრავალპარტიული არჩევნები თავის საკუთარ ქვეყანაში, მაშინ როდესაც საქართველოში გაიმართა სწორედ ოფიციალური მრავალპარტიული არჩევნები, სადაც გამარჯვება მოიპოვეს დემოკრატიულმა და ეროვნულმა ძალებმა. ეგრეთ წოდებულ ეროვნულ კონგრესს კი არა აქვს ხალხის მხარდაჭერა, ჩვენ იგი მიგვაჩნია ფიქციად, რომელსაც აკლია პოლიტიკური მოწიფულობა და კომპეტენტურობა. ამასვე მოწმობს მათი დამოკიდებულება ნატოს ბლოკში საქართველოს შესვლის საკითხისადმი — ეს იმ დროს, როდესაც ევროპაში მიმდინარეობს ინტეგრაციის პროგრესული პროცესები, შენდება ევროპის საერთო სახლი და ყველანი ესწრაფვიან სრულიად ევროპის სამხედრო უსაფრთხოების მიღწევას.

— რა ტიპის სახელმწიფოებრიობა აშენდება საქართველოში და როგორი იქნება მართვა-გამგეობის ფორმა? თქვენს ბოლოდროინდელ გამოსვლებში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად არის გაშუქებული.

— საქართველოში ავაშენებთ პარლამენტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას, მე მუდამ ვიცავდი ამ იდეას ყველა ჩემს გამოსვლაში.

— მრგვალი მაგიდის მომხრენი იყვნენ საქართველოდან „საოკუპაციო ჯარების" გაყვანისა და საკუთარი არმიის შექმნის პოლიტიკის ინიციატორები და გამტარებლები. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხში ამჟამად და, საერთოდ, როგორ გესახებათ ურთიერთობა საქართველოში განლაგებულ საჯარისო ქვეგანაყოფებთან?

საკუთარი შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო ჯარების, საბაჟოს შექმნის შემთხვევაში რა წყაროებიდან დააფინანსებთ ამ პროგრამებს, სად მოამზადებთ კადრებს?

— საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ყოფნის მართლზომიერება უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო სამართალმა, ისეთმა ინსტანციებმა, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო და სხვ., მას შემდეგ, რაც საქართველო მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას და შექმნის თავის ეროვნულ არმიას. იქამდე კი საქართველოში მყოფმა ჯარის ნაწილებმა უნდა შეიცვალონ სტატუსი და გახდნენ უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ჩვენ ვგმობთ მათთან ფიზიკური ბრძოლის ყოველგვარ ავანტიურისტულ იდეას, ვინაიდან ეს უდიდეს საფრთხეს უქადის საქართველოს. საქართველოს ახალი ეროვნული არმია დაფინანსდება რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, კადრებს მოამზადებენ ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, როგორც ეს ყველა სხვა ქვეყანაში ხდება ხოლმე.

— თქვენი ინტერვიუებიდან გამომდინარეობს, რომ განზრახული გაქვთ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რეორგანიზაცია. რა მიმართულებით წარიმართება ეს რეორგანიზაცია და რა ფუნქციები უნდა შეასრულონ უშიშროების ორგანოებმა, სად მოამზადებთ ამ ორგანოების თანამშრომლებს, თუ თქვენ უარყოფთ კავშირთან შესაძლო ურთიერთობას?

— ჩვენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რეორგანიზაციას წარვმართავთ ეროვნული ორიენტაციის გზით, და კადრებსაც ასევე ჩვენი სპეციალისტები მოამზადებენ.

— ჩვენი აზრით, თქვენს გამოსვლებში ეროვნულ საკითხზე ბევრი წინააღმდეგობანი. მაგალითად, 1988 წლის 1 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე თქვენ განაცხადეთ: ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს გადასცეს აღმოსავლეთი საქართველო აზერბაიჯანს, და იქვე დააყენეთ საკითხი, რომ საჭიროა გასახლებულ იქნენ აზერბაიჯანელები მიწა-წყლიდან, რომელიც მათ უკანონოდ დაიკავეს. 1988 წლის 11 ნოემბერს კინოს სახლთან გამართულ მიტინგზე გამოსვლისას თქვენ ბრძანეთ: ოსებს განვუმარტავთ, რომ „თუ მათ არ სურთ ჩვენთან მშვიდობიანად იცხოვრონ, მაშინ საქართველოდან წავიდნენო".

1989 წლის 6 დეკემბერს სურათების გალერეასთან გამართულ მიტინგზე თქვენ მოუწოდებდით აჭარელ სეპარატისტთა ალაგმვას.

მესხეთელი თურქების საკითხზე ქართველი ერის მიმართვაში ჰელსინკის კავშირის სახელით ითქვა, რომ თქვენ არ დაუშვებთ საქართველოში არც ერთი ეთნიკური თურქის ან თურქული ეროვნული ცნობიერების მქონე მოქალაქის ჩასახლებას. უფრო მეტიც, იგი (ქართველი ხალხი) იბრძოლებსო ახეთების თურქეთში რეპატრიაციისთვის.

მაგრამ ოფიციალური პრესისათვის გაკეთებულ სხვა განცხადებებში თქვენ ბრძანებთ, რომ ქართველი ხალხისათვის უცხოა ეთნიკური სიძულვილი, ლაპარაკობთ ჰელსინკის შეთანხმების სულისკვეთებისადმი ერთგულებაზე, თავად თქვენ დიდი ხანია ბრძანდებით საქართველოში შექმნილი ჰელსინკის ჯგუფის ლიდერი. როგორ განმარტავდით თქვენს ესოდენ პოლარულ გამონათქვამებს?

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, მრგვალი მაგიდის ადგილობრივ ორგანიზაციებს, დეპუტატთა რაიონულ კომისიებს

როგორც რძის მრეწველობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება გვაუწყებს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკას შეუმცირდა მშრალი რძის ფხვნილის მოწოდება, რის გამოც ქ. თბილისსა და სამრეწველო ცენტრებში შეიქმნა მწვავე დეფიციტი მოსახლეობის რძის პროდუქტებით მომარაგებაში.

ასეთი მწვავე დეფიციტი გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ რესპუბლიკის რაიონები არ ასრულებენ მთავრობის დავალებას ნატურალური რძის ნედლეულის საწარმოებში ჩაბარების შესახებ. ამასთან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში შეიმჩნევა როგორც მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, ასევე საიჯარო ორგანიზაციების მიერ რძის რესურსების განიავებისა და ყოველგვარი განრიგის გარეშე პროდუქციის გაცემის ტენდენცია.

ყოველივე ეს შეიძლება ჩაითვალოს წინასწარგანზრახულ საბოტაჟად ახალი პარლამენტისა და ხელისუფლების მიმართ, ხალხის ინტერესების საზიანოდ.

მოვითხოვთ, ამ საქმეში სტაბილურობის მიღწევის მიზნით დეტალურად დაადგინოთ მეურნეობებში ნედლეული რესურსების რეალური რაოდენობა, მიიღოთ კონკრეტული ზომები მათი ჩაბარებისათვის და გვაცნობოთ იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებშიც გამოვლინდება რესურსების განიავების შემთხვევები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

6 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. განიხილეს ამ ეტაპზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე აქტუალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც მისი ცალკეული რეგიონების, ისე მთლიანად საქართველოს კეთილდღეობა.

სპეციალისტთა პროგნოზებით, უახლოეს ხუთ წელიწადში ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობა ხუთი ათასით გაიზრდება და 53 ათასს შეადგენს, 2010 წლისათვის კი 60 ათასამდე მოიმატებს. შესაბამისად გადიდდება ქალაქის განაშენიანებისათვის გამოყოფილი ფართობები. ყოველ მის მცხოვრებზე საერთო საცხოვრებელი ფართობის უზრუნველყოფის ნორმა 1995 წელს შეადგენს 15 კვადრატულ მეტრს, 2010 წლისათვის კი 18 კვადრატულ მეტრს.

ეს მონაცემები აღებულია ქალაქ ზუგდიდის განვითარების გენერალური გეგმიდან, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს პრეზიდიუმის სხდომაზე. „საქსახქალაქმშენის" ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და საქართველოს სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, რესპუბლიკის ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ეს გეგმა ნათლად მოწმობს რესპუბლიკური დაქვემდებარების ამ ქალაქისა და რაიონული ცენტრის მომავალს. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის თანამიმდევრულ—ორ ეტაპად — ეკონომიკურად დასაბუთებულ განვითარებას, მის განაშენიანებასა და კეთილმოწყობას, მისი ნორმალური სიცოცხლის უზრუნველყოფის პრაქტიკულად ყველა პრობლემის გადაჭრას. აქ გათვალისწინებულია ეკოლოგიურად „ბუზყიანი" საწარმოების გადატანაც ქალაქგარეთ, რათა იქ შეიქმნას სამრეწველო ზონები, აგრეთვე შემოსავლელი გზების გაყვანა და საზოგადოებრივი ცენტრის რეკონსტრუქცია.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით თბილისში, ფართო გაქანება შეიძინა საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენებამ სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე თვით მოქალაქეთა სახსრების ხარჯზე. ბუნებრივია, რომ ეს არსებითად აუმჯობესებს მათ საბინაო-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ პირობებს. მაგრამ, როგორც განხილვამ ცხადყო, ამ კეთილშობილურ საქმეს საკმაოდ ნეგატიური მხარეც გაუჩნდა, იმიტომ რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, და უწინარეს ყოვლისა, თბილისში, მას ხშირად სტიქიური ხასიათი აქვს, უმართავი ხდება. შემოწმებამ გამოავლინა შესაბამისი ნებართვის გარეშე წარმოებული მიშენების მრავალი ფაქტი, პროექტის უხეში დარღვევებით, ზოგჯერ კი უპროექტოდაც მათი მშენებლობა. ამის შედეგად მახინჯდება საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული სახე და, შესაბამისად, ქალაქების არქიტექტურულ-ესთეტიკური იერსახე. უფრო მეტიც, ამ დროს გამოყენებული კონსტრუქციები ხშირად არასაიმედო გამოდგება ხოლმე, ისინი ასუსტებენ ძირითადი შენობების სიმყარეს, რაც, რესპუბლიკის ტერიტორიის გადიდებულ სეისმურობასთან დაკავშირებით, სერიოზულ საფრთხეს ქმნის. მიშენების პარამეტრების თვითნებური გადიდება აუარესებს საცხოვრებელი სახლების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ართულებს გარე საინჟინრო კომუნიკაციების ექსპლუატაციას, მთელ რიგ შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს საცხოვრებელი რაიონების ეკოლოგიაზე.

არასაკმარისად ცნო რა ყველა იმ სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მუშაობა, რომლებსაც, დადგენილი წესის თანახმად, დავალებული აქვთ საცხოვრებელ სახლებზე მიშენების ნებართვების განხილვა და მიცემა, პროექტების შემუშავებისადმი, მათი შეთანხმებისა და რეალიზაციისადმი კონტროლი, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა კონკრეტული დავალებანი მისცა შესაბამის ორგანიზაციებს, რათა მოაწესრიგონ ეს საკითხი, გაზარდონ პასუხისმგებლობა და გააძლიერონ კონტროლი ამ მნიშვნელოვან საქმეში სათანადო წესრიგის უზრუნველყოფისადმი.

სერიოზული შეშფოთება გაისმა სხდომაზე ტყის ჯიშებისა და სამკურნალწამლო მცენარეების თესლის დამზადების სრულყოფისა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის ღონისძიებათა საკითხის განხილვის დროსაც. ითქვა, რომ უკანასკნელ ხანს ამ საქმეს რესპუბლიკაში აქტიურად მოჰკიდეს ხელი არასპეციალიზებულმა უწყებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა და სხვებმა. თუ წინათ, მაგალითად, საქართველოდან საზღვარგარეთ ყოველწლიურად გაჰქონდათ სულ 6-7 ტონა ეს უძვირფასესი ნედლეული, შარშან ეს ციფრი თითქმის გაორკეცდა, წელს კი იგი უკვე 30 ტონაა გატანილი. გარდა იმისა, რომ ასე უგუნურად ნიავდება ჩვენი ტყის სიმდიდრე, საერთაშორისო ბაზარზე დილეტანტების მიერ გატანილი ამ პროდუქციის ნაწილი იყიდება კონიუნქტურის გაუთვალისწინებლად, ხშირად თესლი ცუდი ხარისხისაა, რის შედეგად ქვეითდება რესპუბლიკის პრესტიჟი. მიღებულ დადგენილებაში მინისტრთა საბჭომ აუკრძალა ყველა არასპეციალიზებულ უწყებას, ორგანიზაციასა და კოოპერატივს საქართველოში აწარმოონ ტყის ჯიშებისა და სამკურნალწამლო მცენარეების თესლის დამზადება და მათი რეალიზაცია საგარეო ბაზარზე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან შეუთანხმებლად. ამავე დროს ამ ორგანოებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი რესპუბლიკის ბუნების დაცვის პოლიტიკის განხორციელებისადმი, ამ ძვირფასი ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციისადმი.

(დასასრული მე-2 გვ.).

საკუთარ სახლში

მთავრობის სახლის წინ

6 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მიზანი იყო ერთიანობა, დარაზმვა და ხალხის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. გამოკრული იყო ლოზუნგები: „ძირს ტერორიზმი და ბანდიტიზმი", „გაუქმდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება", „მუშაობის ნორმალური პირობები მიეცეს ერის მიერ არჩეულ კანონიერ მთავრობას".

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი, მწერალი გურამ პეტრიაშვილი, მაუგლი ჩხიკვაძე, ჟურნალისტი მარინე თექთუმანიძე და სხვები.

აქვე იყვნენ ქართველი დედები, რომლებმაც გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოში სიმშვიდე მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული ფორმირებების გაუქმების შედეგად დამყარდება, და თუ ეს არ მოხდება, ქართველი დედები მიიღებენ უკიდურეს ზომებს და გამოაცხადებენ შიმშილობას.

მთავრობის სახლთან უვადო შიმშილობა გამოაცხადა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების რამდენიმე წევრმა. ამ საზოგადოების ეკოლოგიური სექციის ხელმძღვანელმა, ერთ-ერთმა მოშიმშილემ მაუგლი ჩხიკვაძემ განაცხადა:

საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ გადაწყვიტა დაიწყოს ალტერნატიული შიმშილობა ორად-ორი მოთხოვნით: მიეცეს მუშაობის ნორმალური პირობები ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ მთავრობას და გაუქმდეს აბსოლუტურად ყველა არაოფიციალური, არაკანონიერი, არაკონსტიტუციური შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც არანაირ კონტროლს არ ექვემდებარებიან. ახლა შიმშილობის მესამე დღეა და მასში მონაწილეობს სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცხრა წევრი, ამ აქციას უკვე შემოუერთდა ჩვენს რესპუბლიკაში ამავე საზოგადოების ფილიალები. ჩვენთან ჩამოვიდნენ სამი რეგიონიდან: ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან და სამტრედიიდან. დანარჩენები ადგილებზე შიმშილობენ.

იზა ჯაჯვაძე.

შეწყდეს შიმშილობა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში გაშლილ კარავთან ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი იდგა და დიდი კამათი ჰქონდათ გამართული. იქვე გაკრული ლოზუნგები გვაუწყებდა აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს: „საბჭოთა ჯარს განესაზღვროს საოკუპაციო არმიის სტატუსი!", „სასწრაფოდ დაისვას საქართველოს დეოკუპაციის საკითხი!".

შიმშილობის მეორე დღე. გავეცანით მოშიმშილეებს, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტური კომიტეტის წევრებად გაგვეცნენ. ვთხოვეთ დაესახელებინათ ვინაობა — დათო ბელიძე, ლაშა ქართველიშვილი, ვახტანგ კიკალიშვილი, მამუკა თავხელიძე, ილო ვარდიძე, თემურ კუპატაძე, ვლადიმერ კეპულაძე, სულ ოცდახუთნი არიან, ნაწილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობს, ნაწილი კი — პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებში.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ელიან ქართველი ხალხის მიერ ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს განახორციელოს ის პირველი რიგის ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენი ცხოვრების სასიცოცხლო პირობები არის დაკავშირებული, და თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობენ ჩვენი საზოგადოების შემდგომ დესტაბილიზაციას, გვიპასუხებს: ჩვენ უვადო შიმშილობა გვაქვს გამოცხადებული და სანამ მოთხოვნებს არ შეგვისრულებენ, აქციას არ შევწყვეტთ. მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, რომელიც იქვე შემოგვიერთდა, გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას, აღშფოთებას ამ ყოვლად გაუმართლებელი აქციის გამო.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კი ამ დროს მიმდინარეობდა სტუდენტ-მასწავლებელთა ხალხმრავალი კრება. გამოსული ორატორები, პროფესორები კორნელი დანელია, ბეჟან ბარდაველიძე, დოცენტები — ვახტანგ ცაგარეიშვილი, ლიანა ფერაძე, გურამ აროშიძე, სტუდენტები — გიორგი მამალაძე, სანდრო ბრეგვაძე და სხვები გმობდნენ აქციის მონაწილეთა მოქმედებას და მოითხოვდნენ დაეტოვებინათ უნივერსიტეტის ეზო.

(დასასრული მე-2 გვ.).

მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ორი ახალი წყალსაცავი აშენდება კახეთში მდინარეებზე ილტოსა და ლაკბეზე. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომისიამ მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა განაგრძოს ლაკბეს წყალსაცავის მშენებლობა. დამტკიცებული პროექტის მიხედვით, მისი კაშხალის სიმაღლე შემოიფარგლა 81 მეტრით წინათ გათვალისწინებული 92 მეტრის ნაცვლად. ამავე სახელმწიფო კომიტეტს დაევალა 1991 წლის 1 ივნისამდე მოაწყოს მდინარე ილტოზე წყალსაცავის პროექტის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. საგულისხმოა, რომ ორივე ამ ობიექტზე პერსპექტივაში ნავარაუდევია მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ჯერ კიდევ 1984 წელს თეთრი წყაროს რაიონში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს გამოეყო დაახლოებით 700 ჰექტარი მიწები ვითომდა სახელმწიფო საჭიროებებისათვის. მაგრამ დღემდე ეს მიწები ძირითადად აუთვისებელია. იხელმძღვანელა რა არსებული კანონმდებლობით, რომლის თანახმად შეძენილი მიწა უნდა დამუშავდეს უკვე პირველი ორი წლის განმავლობაში, პრეზიდიუმმა დაადგინა ჩამოართვას სამხედრო ოლქს ამ მიწის ფლობის უფლება. გადაწყდა, 468 ჰექტარი გამოუყენებელი და აუთვისებელი მიწები დაუბრუნდეს წინანდელ პატრონს — თეთრი წყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომს, რათა იგი გაუნაწილოს რაიონის მეურნეობებს, დაისვა საკითხი რაიონისათვის ჯერჯერობით ოლქის გამგებლობაში არსებული დანარჩენი 230 ჰექტარი მიწების დაბრუნების შესახებ.

განიხილეს საბითუმო ფასებისა და ტარიფების ახალ სისტემაზე გადასვლის საკითხები. მხედველობაში მიიღო რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 25 ოქტომბრის შესაბამისი დადგენილება, პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მომავალი წლის 1 იანვრიდან შემოიღოს რესპუბლიკის ნომენკლატურის (სამუშაოს, მომსახურების) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სამრეწველო პროდუქციის სახელშეკრულებო ფასების გამოყენების პრაქტიკა, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის გარდა.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირთა კონფედერაციის ერთობლივი დადგენილება 1991 წელს პენსიითა და დახმარებით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ, რათა ისინი შეუფერხებლად მიეცეს მოსახლეობას მომავალი წლის 1 იანვრიდან, დროებით, საქართველოს რესპუბლიკის საპენსიო ფორმის შექმნის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებამდე, პენსიებისა და დახმარებების საფინანსო უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

მინისტრთა საბჭომ მიიღო საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის წინადადება, რომ ამ დაწესებულებას ეწოდოს საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინებებზე, მიღებულია გადაწყვეტილება თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის სერგი დანელიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, განხილულია რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხები.

სს „საქართველო“

◆

რეგისტრირებულია ახალი გაზეთები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გაზეთ „ახალი საქართველოს“ ბაზაზე შეიქმნა გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ახალი საქართველო“.

მინისტრთა საბჭომ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაატარა რეგისტრაციაში, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო, ხოლო გაზეთი „ახალი საქართველო“ — როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

ახლად შექმნილი გაზეთების გამოცემა განხორციელდება საბაზო გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადანაწილების საფუძველზე.

სს „საქართველო“.

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „ქართველ მაშველთა კორპუსის წესდების რეგისტრაციის შესახებ“.

სს „საქართველო“.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— **თეიმურაზ ვარლამის ძე დვალი** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ;

— **ბენო ილიას ძე ჯაფარიძე** გაათავისუფლა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

სს „საქართველო“.

საკუთარ სახლში

(დასასრული)

შეწყდეს შიმშილობა!

საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც აქვე გთავაზობთ. „უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კრება თვლის, რომ თანამედროვე ვითარებაში საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება სტაბილიზაცია ყველა სფეროში და მიზანშეუწონლად მიაჩნია რესპუბლიკაში ნებისმიერი, მწვავე აქციების ჩატარება, რათა საშუალება მიეცეს პირველი მრავალპარტიული, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეულ უზენაეს საბჭოს თანამიმდევრულად განახორციელოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ღონისძიებები, ხოლო თითოეულ ჩვენგანს — შეასრულოს მისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობანი.

შეწყდეს შიმშილობის აქცია უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში, რათა შეიქმნას პირობები ნორმალური მუშაობისათვის“.

ლარისა ხუბულური.

ოპერატიული ვითარება კვლავ საგანგაშოა

წყალტუბო, 5 დეკემბერი. (სს „საქართველოს“ კორ. მაკა კილაძე) წარმართავს თუ არა ყოველივე იმას, რაც ახლა საქართველოში ხდება, ერთი რომელიმე ორგანიზაცია, ძნელი სათქმელია. ფაქტი ის არის, რომ ყაჩაღური თავდასხმების მონაწილენი, მძარცველები, გამტაცებლები ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და იარაღის ნაკლებობას არ უჩივიან და საკმაოდ კარგადაც არიან ინფორმირებულნი.

ეს რომ ასეა, 4 დეკემბერს სოფელ გეგუთში დატრიალებულმა ამბებმაც დაადასტურა. დაახლოებით 17 საათზე, სოფლსაბჭოს გვერდით მდებარე სასურსათო მაღაზიაში შეიჭრა ხუთი შეიარაღებული ახალგაზრდა და იარაღის მუქარით გაძარცვა აქ შეკრებილი მომხმარებელი, გაიტაცა მთელი დღის ნავაჭრი.

მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ოცდაათი წუთის შემდეგ, მსგავსი თავდასხმა განხორციელდა ვარციხჰესის დასახლებაში, ცოტა მოგვიანებით — გეგუთიდან ქუთაისში მომავალ გზაზე, ნიკეას ქუჩაზე მდებარე ასევე სასურსათო მაღაზიაში.

როგორც მოწმეები ადასტურებენ, თავდამსხმელებს ჰქონდათ ავტომატური იარაღი და გადაჭრილი თოფები, მათ ემსახურებოდა თეთრი ფერის უნომრო „ჟიგულის“ მარკის და ასევე თეთრი ფერის უნომრო გაზ-24 მანქანა.

— ის, რომ ბოროტმოქმედები დღისით, მზისით ასე უშიშრად დათარეშობენ, იმის მაუწყებელია, რომ მათ არაფრის შიში არა აქვთ და რაღაც ძალა უმაგრებთ ზურგს, — უთხრა სს „საქართველოს“ კორესპონდენტს ერთ-ერთმა დაზარალებულმა — ასეთი განუკითხაობა, მოქალაქეთა ტერორიზება კარგს არაფერს გვიქადის. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება და დამნაშავეთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით შეტევა. უპირველესად კი, სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული სათანადო საკანონმდებლო აქტები, რაც გზას გადაუკეტავდა მსგავს მოვლენებს.

როგორც წყალტუბოს მილიციის რაიონულ განყოფილებაში გვაცნობეს, შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, რომელიც იძიებს მომხდარ ფაქტებს.

ბაგა-ბაღი გლდანში

გლდანის მერვე მიკრორაიონში ფუნქციონირებს № 1 სპეციალიზებული სადღეღამისო ლოგოპედიური ბაგა-ბაღი, რომელსაც შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. დაკომპლექტებულია 12 ჯგუფი, რომელშიც ასობით ნორჩი აღსაზრდელია ჩარიცხული. აქედან 8 ჯგუფი ლოგოპედიურია. თითოეულ ჯგუფში აღმზრდელებთან ერთად მუშაობს თითო ლოგოპედი. მათ დიდი მისია აქვთ დაკისრებული — დაეხმარონ ბავშვებს წარმოთქმის ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, რომელშიც იგულისხმება ნორმალური მეტყველებიდან ყოველგვარი გადახრა.

ბაგა-ბაღში მიიღებიან აღსაზრდელები სამი წლის ასაკიდან. თბილისის სხვა ბაგა-ბაღებისგან განსხვავებით აქ ბავშვები ჩაირიცხებიან რესპუბლიკის ყველა რეგიონიდან. ამჟამად აქ იზრდებიან ნორჩები ქუთაისიდან, სამტრედიის, ხარაგაულისა და სხვა რაიონებიდან. ყველა პირობაა შექმნილი მშობლებისათვის. მათ საშუალება ეძლევათ თავიანთი პირმშონი მოიყვანონ ორშაბათ დილით და დატოვონ პარასკევის გვიან საღამომდე — 8 საათამდე.

არის შემთხვევები, როცა ბავშვები 6 წლის ასაკამდე ვერ ასწრებენ მეტყველების გამოსწორებას. მაშინ ისინი ერთი წლით კიდევ დარჩებიან ბაგა-ბაღში. თუ ეს პერიოდიც არ აღმოჩნდა საკმარისი, მაშინ ისინი სათანადო საბუთების გაფორმებით გაიგზავნებიან სამეტყველო სკოლაში. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევა გამონაკლისია. № 1 სპეციალიზებულ ბაგა-ბაღში ბევრი მეტყველებადაქვეითებული ბავშვი მოვიდა და მოკლე ხანში მთლიანად გამოასწორა ეს დეფექტი.

ზაირა კურტანიძე,

თბილისის № 1 ლოგოპედიური ბაგა-ბაღის გამგე.

დიდ მამულიშვილთა კერაზე

ახმეტის რაიონის უძველეს სოფელ მატანში თავდადებული მამულიშვილების, ჩოლოყაშვილების გალავანთან არის მათივე სახელობის კარის ეკლესია, რომელსაც ღვთისმშობელს უწოდებენ, იგი წლების მანძილზე უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ბოლო დროს ხალხი შემობრუნდა ეკლესიისაკენ და დაიწყეს ფიქრი მის აღდგენაზე. ამის თაობაზე ბევრი იღვაწა მამა ფარნაოზ მარგალიტაშვილმა, რომელმაც აქაური თავკაცების დახმარებით დიდი სამუშაო ჩაატარა ეკლესიის კეთილმოწყობისათვის. მას სურდა იგი კულტურის კერად გადაექცია. ახლა აქ უკვე დაწყებულია წირვა-ლოცვა.

ახლახან ეკლესიის ეზოში თავი მოიყარეს ახალგაზრდებმა. ზაზა ნონიაშვილმა და ციური ბასაძიშვილმა ჯვარი დაიწერეს.

შემდეგ კი საქორწინო ლხინი გაიმართა. სოფელი კიდევ ერთი ოჯახის შექმნას ზეიმობდა.

იზა ახმეტელი.

კოლეგები

მორიგი ნომერი და ჟურნალის პერსპექტივა

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მე-11 ნომერი. რუბრიკაში „ახალი აზროვნების კოორდინატები“ დაბეჭდილია რ. მიმინოშვილის „ოცნება უკეთესზე“, ბ. ფორჩხიძის „ავტორიტეტის ფენომენი“, თ. ქარელის „საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკა“.

ჟურნალი მკითხველებს სთავაზობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემათა შემსწავლელი ჯგუფის ბაზაზე ჩატარებული კონფერენციის „მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება“ მასალებს. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ თევზაძის შესავალი წერილის შემდეგ მკითხველები გაეცნობიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერების სტატიებს — ა. ჰამპელის „ადამიანის ღირსება თეოლოგიის თვალსაზრისით“, პ. ვაიგელტის „ადამიანის ღირსება და სამეურნეო წყობა“, კ. ჰელერის „კულაკობის როგორც კლასის განადგურება და ადამიანის ღირსება“.

რუბრიკებში „მართვის ეკონომიკური მეთოდები და სამეურნეო პრაქტიკა“, „მეოცე საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი“, „ადამიანი და გარემო“ მკითხველები გაეცნობიან სტატიებს: თ. ბერიძის „სამეურნეო ურთიერთობის ეროვნული ასპექტი“, გ. მამალაძის „სანქციები და ემბარგო ეკონომიკურ ურთიერთობაში“, მ. მაცაბერიძის „საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნა“, ა. მენთეშაშვილის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები“, გ. გიგაურის „არაგვის ხეობის სიმფონია“, მ. ფუტკარაძის „დღის წესრიგშია მთის პრობლემები“.

აკაკი წერეთლის იუბილეს ეძღვნება ე. კვიტაიშვილის „აკაკი—ერის მსახური“. აქვე დაბეჭდილია მ. მახარაძის სტატია „მოსე გოგიბერიძე — რუსთველოლოგი“.

რუბრიკაში „მსოფლიო დღეს“ წარმოდგენილია ნ. კუპრავას „დასავლეთის ეკოლოგიური მოძრაობის მსოფლმხედველობითი პოზიციები“, მ. კალანდაძის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, დ. საკაძის „ეთნოკონსენსუსური სიტუაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე აღმოსავლეთში“. გრძელდება გ. ბეზირგანის პუბლიცისტური ნარკვევის „ლავრენტი ბერიას აღზევება და დაცემა“ ბეჭდვა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს იმ ნაბიჯების გაცნობა, რომელთა გადადგმასაც აპირებს ჟურნალის რედაქცია განახლების გზაზე.

მიმდინარე წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქციის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციის კრება, რომელზედაც გადაწყდა რედაქციის დეპარტიზაცია. იმავე დღეს ჩატარდა რედაქციის თანამშრომელთა საერთო კრებაც. მისი გადაწყვეტილებით ჟურნალს ეწოდა „პოლიტიკა“.

ჟურნალი „პოლიტიკა“ მომავალი წლიდან თვეში ერთხელ გამოვა ქართულ ენაზე. როგორც თეორიული გამოცემა — ის შეძლებისდაგვარად იქნება ღრმა და ანალიტიკური, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური — მაქსიმალურად ყოვლისმომცველი და დემოკრატიული. ეს საშუალებას მოგვცემს მკითხველთა წინაშე წარვსდგეთ საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრების მრავალფეროვანი მასალებით.

დემოკრატიის, მრავალპარტიულობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების პოლიტიზაციის პირობებში ჟურნალი გააშუქებს შინასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიების და საზოგადოებრივი ჯგუფების მოღვაწეობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ხასიათის საკითხებს, მსოფლიო, და რეგიონალურ პრობლემებს.

აღნიშნული ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თეორიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება რეალური სინამდვილის სხვადასხვა სფეროებში; საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები; მართვის ეკონომიკური მეთოდები და სამეურნეო პრაქტიკის პრობლემები; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები; პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გზები და საზოგადოებრივი აზრი; იდეურ-პოლიტიკურ სფეროში წინააღმდეგობრივი პროცესების კვლევა და გაშუქება; მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური, ერთაშორისი ურთიერთობების, ეკოლოგიური, მხატვრული, სამართლებრივი კულტურის ამაღლების საკითხები; თეორიული მემკვიდრეობის გააზრება და ისტორიული ცნობიერების ფორმირების პრობლემები; დასავლეთის პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური, ფილოსოფიური სკოლების მიღწევების შესწავლა და საქართველოს რეალობებიდან გამომდინარე მათი კრიტიკული ათვისება; საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ გამოცემული მონოგრაფიებისა და სტატიების მიმოხილვა; საქართველოს საცავებში მოპოვებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქართველოს ისტორიის პრობლემების ამსახველი აქამდე უცნობი მასალების გამოქვეყნება სათანადო კომენტარებით; საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების წარსული და თანამედროვე პერიოდების პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ ანალიტიკური და საცნობარო ხასიათის მასალების დაბეჭდვა; ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხები; ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება და საპარლამენტო მუშაობის გამოცდილება; პოლიტიკური რომანის, პოლიტიკური იუმორის, პოლიტიკის საკითხებზე „აზრთა კონის“ დაბეჭდვა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რესპუბლიკის განვითარების გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების, მეცნიერების, კულტურისა და განათლების სისტემის გარდაქმნის პროცესების გაშუქებას. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბების, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის საბოლოო გაუქმების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არჩევითობის პრინციპის დამკვიდრების საკითხებს, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის, ეროვნულ-სულიერი და კულტურული ღირებულებების აღდგენის პრობლემებს. მათზე ანალიტიკური ხასიათის მასალების მომზადებისას ამოვდივართ იქედან, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების სისწორის სიღრმისეული არგუმენტები უნდა ვეძიოთ ცხოვრებისეული რეალიების თეორიულ კვლევებში და რომ ღრმა თეორიული დაფუძნების გარეშე პოლიტიკური ქმედებები შეიძლება დაემორჩილოს უფრო მეტად ცდისა და შეცდომის მეთოდს, ვიდრე გაცნობიერებულ სტრატეგიას. ამდენად, ჟურნალი ეცდება გააანალიზოს პოლიტიკური ცხოვრების რეალიები და გამოიტანოს სათანადო დასკვნები, რომლებიც, ჩვენის აზრით, გარკვეულ დახმარებას გაუწევენ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას პრაქტიკული პოლიტიკის რეალიზაციის გზაზე.

ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალის საბოლოო სახის განსაზღვრაში ჩვენი მკითხველებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას, რისთვისაც წინასწარ ვუხდით მადლობას.

მერაბ გოგუაძე,

ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათზე: მარინე ელისი.

ედუარდ რასოევის ფოტო.
(სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

სტუმარი

მარინე ელისი: „ვერ წარმომედგინა, თუ ეს დღე დადგებოდა“

სამშობლოდან განშორების 22 გრძელი წელიწადი გაილია. მარინე ელისი — ეს სახელი და გვარი კარგად იცის ქართველმა რადიომსმენელმა „ამერიკის ხმის“ გადაცემებიდან. დღეს იგი საქართველოს სტუმარია, თუმცა როგორ შეიძლება სტუმარი ეწოდოს სულით-ხორცამდე ქართველს, ქართულ მიწაზე დაბადებულსა და გაზრდილს. ჯერ იყო დანია, შემდეგ ამერიკა, და, ბოლოს ბელგია, ბრიუსელი, სადაც ამჟამად ცხოვრობს მარინე ობოლაძე-ელისი, „ამერიკის ხმის“ ევროპელი კორესპონდენტი.

„..იგი საოცრად საინტერესო მოსაუბრეა, გვიამბობს უცხო ცის ქვეშ თავის ცხოვრებასა და შრომაზე, ჰყვება სამშობლოს მონატრებაზე და კანონიერი სიამაყით ამბობს: „ამ მიწაზე რომ დავდგი ფეხი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ხელახლა დავიბადე, ვერ წარმომედგინა, თუ ეს დღე დადგებოდა“. და ეს დღე დადგა —მარინე პირველად ამ გაზაფხულზე ეწვია თბილისს, ახლა კვლავ მშობლიურ ქალაქშია, ნათესავებისა და მეგობრების წრეში.

„საქართველოს“ კორესპონდენტი ესაუბრა მარინე ელისს.

— ქართველი მსმენელი კარგად გიცნობთ, არაერთხელ გვსმენია თქვენი ხმა შორეული ამერიკიდან. გვიამბეთ ამ რადიოსადგურში თქვენი მოღვაწეობის შესახებ.

— 70-იან წლებში შვიდი წელი ვიცხოვრე ვაშინგტონში და ვმუშაობდი „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში წამყვან დიქტორად, კორესპონდენტად, მთარგმნელად. ვაშინგტონში შევქმენი ოჯახი — ჩემი მეუღლე ჯეიმს ელისი, სპეციალობით ეკონომისტი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ვაჭრობის ცნობილი სპეციალისტი გახლდათ. 1978 წელს იგი ნატოს ეკონომიკურ განყოფილებაში გადაიყვანეს ბრიუსელში (ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა), მე კი დამნიშნეს „ამერიკის ხმის“ ევროპულ კორესპონდენტად. ჩემს მოვალეობაში შედის ქართულ განყოფილებას მივაწოდო რაც შეიძლება მრავალფეროვანი მასალა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს შესახებ.

— როგორ ახერხებთ ქართული საკითხების სრულფასოვან გაშუქებას ასე შორს საქართველოდან?

— ბევრ მასალას საქართველოს შესახებ პარიზიდან ვიღებ მეგობრების მეშვეობით. სპეციალურად ჩავდივარ ბრიუსელიდან პარიზში, რათა იქ მოვიპოვო საინტერესო ინფორმაცია, გავეცნო ქართულ პრესას, ჩემს რადიოჟურნალისტურ საქმიანობაში დიდ დახმარებას მიწევდა და მიწევს პარიზში მცხოვრები ზურაბიშვილების ოჯახი, განსაკუთრებით ქალბატონი ზეინაბ ზურაბიშვილი, რომელიც საოცარი გულისხმიერებითა და ინტერესით მიგროვებს საჭირო მასალებს. შემდეგ მათ ჩვენ ერთად განვიხილავთ და ვუგზავნი „ამერიკის ხმას“.

— თქვენს გადაცემებში ფართო ადგილი ეთმობა საქართველოში გაშლილ ეროვნულ მოძრაობას. მასალების უმრავლესობა სწორედ ამ თემას ეძღვნება...

— სწორი ბრძანდებით. ქართული ეროვნული მოძრაობა — ეს საკითხი ჩემი საქმიანობის ძირითადი თემა გახდა. ვინც თვალყურს ადევნებდა ჩემს გადაცემებს, დამეთანხმება, რომ ვცდილობ სამშობლოდან დაშორებით მცხოვრებ ქართველებს მივაწოდო სრული ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე. თვეში დაგეგმილი რვა გადაცემიდან უმრავლესობა ეძღვნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მათს ლიდერებს ბატონ მერაბ კოსტავას, ბატონ ზვიად გამსახურდიას. არაერთ გადაცემაში ვუამბე მსმენელებს მიტინგებზე მათი გამოსვლების, იმის თაობაზე, თუ როგორ ზრუნავდა ბატონი ზვიად გამსახურდია საქართველოს ისტორიული ძეგლებისათვის, რელიგიის აღორძინებისათვის ჩვენ სამშობლოში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მივულოცო ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა, გამარჯვება მრავალპარტიულ არჩევნებში. ასევე ვულოცავთ ბატონ თენგიზ სიგუას საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნას.

გარდა პოლიტიკური თემებისა, ჩემი გადაცემები ეძღვნება ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას. ასე გახდნენ ჩემი რეპორტაჟების გმირები ოქრომჭედელი გუჯი ამაშუკელი, მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი და სხვები. გადაცემებს ვუძღვნი უცხოეთში ჩამოსულ ქართველ მსახიობებს, ანსამბლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს... ერთი სიტყვით, ჩემი საქმიანობით ვცდილობ პატარა წვლილი შევიტანო უცხოეთში ჩემი სამშობლოს უკეთ გაცნობის საქმეში.

— თქვენ ახლა დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოში ბრძანდებით. როგორ აღიქვამთ ამას?

— ამ ბოლო დროს მომხდარმა ცვლილებებმა მომცა საშუალება, რომ აქ ჩამოვსულიყავი. გულწრფელად მინდა გითხრათ— მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებსაც ახლა თქვენ განიცდით, მიმაჩნია, რომ ჩემი ერი ბედნიერია, რადგან ხედავს თავისი ქვეყნის ახალი სიცოცხლის დასაწყისს. თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, მინდა ვუთხრა ჩემს ხალხს, რომ ერთიანობა და კონსოლიდაცია არის საბოლოო გამარჯვების საწინდარი. ძალიან განვიცდი, როცა მესმის, რომ საქართველოში არის უსიამოვნო მოვლენები... ყოველგვარი მტრობა და ქიშპობა მხოლოდ და მხოლოდ დაგვასუსტებს და შეიძლება ეს სისუსტე მარჯვედ გამოიყენოს მესამე ძალამ. მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ეს კი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ხსნა მხოლოდ ერთობაშია. ქართველმა ერმა მხარი უნდა დაუჭიროს ახალ პარლამენტს, რომ განახორციელოს თავისი სანუკვარი მიზანი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

— გარდა რადიოჟურნალისტობისა, რა საქმიანობას ეწევით?

— ვმოღვაწეობ ბიზნესის სფეროში, კერძოდ, ვარ ბინათმფლობელი. მიუხედავად საკმაოდ მაღალი ფასისა, ბრიუსელში ჩამოსული უცხოეთის მსხვილი ფირმების, საქმიანი წრეების წარმომადგენლები ამჯობინებენ იცხოვრონ თანამედროვე დიზაინით გაფორმებულ, გემოვნებით მოწყობილ ჩემს ბინებში. „ამერიკის ხმაში“ მუშაობა ჩემი შემოსავლის წყარო არ გახლავთ. იქ ჩემი მოღვაწეობა საქართველოსადმი სიყვარულის გამოხატვაა, სამშობლოსთან დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდია.

— თქვენი ხანმოკლე სტუმრობა თბილისში დამთავრდა. რა გრძნობით მიემგზავრებით ბელგიაში?

— მიმყვება დიდი იმედი, რომ სამომავლოდ ჩამოვალ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში. ძალიან მინდა, რომ ეს მალე მოხდეს. ვფიქრობ, რამდენიმე თვით კვლავ ჩამოვიდე, რათა ავინაზღაურო საქართველოსთან განშორების წლები.

მივდივარ და მიმყვება ჩემი მიწის, ცის, ხალხის დიდი სიყვარული და საუკეთესო სურვილები, რაც შეიძლება მალე აუხდეს ჩემს ერს სანუკვარი ოცნება — ვიხილოთ ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი ჩვენი საფიცარი საქართველო.

მერი გაბრიაძე,

სს „საქართველოს“ კორესპონდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ამნისტიის კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1990 წლის 22 ნოემბრის 20.00 საათამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს;

— მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან— შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით.

— იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით — სპეცკომენდანტურის უფროსის დადგენილებით;

— იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და არ არიან დაპატიმრებულნი ან პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და არ არიან გაგზავნილი სამუშაო ადგილას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან გადასახლების, გასახლების, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით — შინაგან საქმეთა რაიონული (ქალაქის) განყოფილების (სამმართველოს) უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს:

— იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები ამ ორგანოების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს:

— იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლოების წარმოებაშია და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა;

— საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის 471 მუხლით გათვალისწინებული წესით;

— მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასჯელად მისჯილი აქვთ ჯარიმა, თუ კანონის ძალაში შესვლამდე ჯარიმა გადახდევინებული არ არის, ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

— სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამო.

საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

3. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

სასამართლოების მიერ ამნისტიის კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

5. განიმარტოს, რომ ამნისტიის გამოყენების დროს:

ა) ამნისტიის კანონის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მუხლების მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 471 მუხლების გამოყენებით მსჯავრდებულ პირებზე, აგრეთვე მათზე, ვისაც პირობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირობით არიან გათავისუფლებული შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ბ) კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება მამაკაცებზე, რომლებიც 60 წლის ასაკს მიაღწევენ კანონის შესრულების პერიოდში;

გ) კანონის პირველი მუხლის „მ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით მიჩნეული იყვნენ ინვალიდებად კანონის ძალაში შესვლამდე, აგრეთვე მათზე, რომელთა კანონის ძალაში შესვლის დროისათვის ინვალიდობის ფაქტი დადასტურდება კანონის შესრულების პერიოდში;

დ) კანონის მე-3 მუხლი ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებმაც რეალურად მოიხადეს სასჯელის ნახევარი ამნისტიის შეფარდების დროისათვის;

ე) კანონის მე-4 მუხლის მოქმედება ვრცელდება მსჯავრდებულებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანობის პერიოდში.

არასრულწლოვან ქალებზე ვრცელდება კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტი.

ვ) კანონის მე-6 და მე-9 მუხლების საფუძველზე უნდა შემცირდეს კანონის ძალაში შესვლის დროისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

ზ) კანონის მე-8 მუხლის „ა“ ჩამონათვალში სიტყვები „სსკ 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი“ უნდა იკითხებოდეს „სსკ 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი“.

6. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდა, ძირითად სასჯელად შეფარდებული გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეწყდება შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ ამნისტიის შეფარდების თაობაზე პროკურორის მიერ დამტკიცებული დადგენილების გამოტანის დღიდან.

7. შეწყდეს იმ დანაშაულობათა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, თუ პირს, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე, მანამდე არ მოუხდია სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებაში. ასევე შეწყდეს საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმეები კანონის მე-4 მუხლში აღნიშნული პირების მიმართ.

8. ამნისტიის კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებული ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

ასევე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ან მსჯავრდებული იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის და შეეფარდათ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

9. იმ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენებისას, რომელთაც სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუმცირდათ შეწყალების ან ამნისტიის წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამ აქტებით იქნა საბოლოოდ განზრახული.

10. დანაშაულის ერთობლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალ-ცალკე.

11. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყონ კონტროლი ამნისტიის კანონის შესრულებისადმი.

12. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ:

ა) ყველა იმ პირის დროული აღრიცხვის ორგანიზაცია, რომლებიც ამნისტიის კანონის საფუძველზე დაბრუნდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან, მათი შრომითი მოწყობა არა უგვიანეს 15-დღიანი ვადისა საცხოვრებელ ადგილზე ჩამოსვლიდან;

ბ) ინვალიდთა სახლებში იმ გათავისუფლებული ინვალიდებისა და ხანდაზმულების მოთავსება, რომლებსაც არა ჰყავთ მარჩენალი;

გ) უზრუნველყონ ამნისტიის კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროული აყვანა აღრიცხვაზე, შრომითი მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვთა სახლებში, სასწავლებლებში მოთავსება.

13. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულებისათვის მუშაობა დასრულდეს ექვსი თვის ვადაში მისი ძალაში შესვლიდან.

14. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხილება კანონით დადგენილი წესით.

15. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებისადმი ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ხვალისათვის

„სად მამა-პაპა გვეგულვის...“

ხევსური საქართველოს ამ-ერ-იმერში ყოველთვის უყვარდათ, ხევსურეთი კი დღემდე შემორჩენილია საარაკო მხარედ, რომელიც სამშობლოს კაი ყმებს უზრდიდა, მათი მთავარი მოვალეობა მამულის დაცვა და ქვეყნის ერთგულება იყო. ჩვენი მთის ფოლკლორში კაი ყმათა საქებარი უამრავი მარგალიტია გაბნეული. აი, ვთქვათ, კრედო, დაუწერელი კანონი კაი ყმობისა: „კაი ყმა, მგელი, არწივი—არც ერთ არ გაიწურთნება...“ ან: „კაი ყმა ხმალსა ჩახედავს: ნეტარ, გამიჭრის თუ არა?“ — როდის სჭირდება ქვეყანას ვაჟკაცი? „მაშინ კარგია კაი ყმა, ხმალი რო იზამს ელვასა“... გმირს მთელი სოფელი უყურებს: „მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა ბინდზე დგებოდეს, იცვამდეს გრილსა რკინასა, „ომს ვიზამ!“ ემზადებოდეს. ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა, წადმა-უკუღმა დგებოდეს; იხარჯებოდეს კაი ყმა, თოფი ოხრადა რჩებოდეს“. ღვთის მადლით საქართველოში კაი ყმა არ დაილეოდა, მათ მოშურნენიც უჩნდებოდნენ, მაგრამ ვაჟკაცს თემი იცავდა, ისევე, როგორც კაი ყმა სოფელს პატრონობდა და იფარავდა. „ხირჩლავ, გიჭურვენ ხევსურნი: „ლურჯამ აქნივა სახელი“ ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია საქნელი“.

ხევსურთა თავზე ბევრი ტრაგედია დატრიალებულა, მაგრამ გული არ გაუტეხიათ, არც მთავარი მოვალეობა დავიწყნიათ. სამშობლოს კიდევ და კიდევ უზრდიდნენ კაი ყმებს. ისინი საქართველოსთვის გადახდილ ყველა ომში სახელოვნად მონაწილეობდნენ და ყველაზე საბედისწერო მომენტში ომახიანად ამბობდნენ: „გამაგრდით, არხოტიენებო! გატეხით რა იქნებისა?“ ვინაც მოკვდების, დავმარხათ, სხვა კიდევ გაჩნდებისა“.

და მაინც დატრიალდა ხევსურეთზე გამოუსწორებელი ტრაგედია. სულ ახლახან, 50-იან წლებში ხევსურები ძალით აჰყარეს მამა-პაპეული ნაფუძარიდან და ბარის უკაცრიელ ადგილებზე დაასახლეს. ხევსურეთი დაიშრიტა, დაცარიელდა. ამ ოთხ ათეულ წელიწადში გმირთა სამყარო გაჰვერანდა, თითქმის უპატრონოდ დარჩა არხოტის სოფლები. თითოოროლა მოხუცი „მეციხოვნეეა“ შემორჩა შატილისა და მუცოს ციხე-კოშკებს. მოიშალა და გაჩანაგდა ხევსურული მეურნეობა, გაღარიბდა მთა და კაცს იქ აღარც ეცხოვრებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა ხევსურეთისა და მთელი საქართველოს წინაშე. ქვეყნის ჭკვიანი შვილები თვალნათლივ ხედავდნენ დანაშაულის სიმძიმეს, გვიან ხმაც ამოიღეს, მაგრამ მათი უხერხემლო მცდელობა ამაო გამოდგა და ხევსური, რომელმაც ცრემლიანმა მიატოვა წინაპართა მიწა, უკან ვერაფრით აბრუნეს.

ამ ზაფხულს ხევსურეთის აღორძინების ნათელმა გამოასხივა.

ხევსურეთში თემთა საბჭოს შექმნის იდეა, ალბათ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას დაებადა. თუმცა თავმჯდომარე გიორგი წიკლაური თვლის, რომ ამგვარი რამ ერთ ადამიანს თუ დაებადება, და [illegible] განმსჯელი თანამოაზრენი არ გამოუჩნდებიან, იდეა ძალიან უსუსური გამოდგება. ამდენად, ხევსურეთის თემთა საბჭოს შექმნის იდეა თანამედროვე და გონიერი ხევსურების ერთობლივი ნააზრევის ნაყოფია.

ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყდა, თუ როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა თემთა საბჭოს, როგორი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი დემოკრატიული თვითმმართველობა და კონკრეტულად რა უნდა გაკეთებულიყო ხევსურეთისათვის.

გონიერმა ხევსურებმა მიიჩნიეს, რომ მშობლიური კუთხის არსებობისა და სამომავლო მუშაობისათვის ყველაზე უფრო მორგებული მეთოდი ხევსურეთის მართვისა იყო ისტორიულად არსებული და აგერ ჩვენს დრომდე, 50-იან წლებამდე მოქმედი ცხოვრების ის წესი, რომლის კანონები და მეთოდები მთაში დღემდე არ მოშლილა.

წლევანდელ ზაფხულს, მთისა და ბარის ხევსურებმა შექმნეს თემთა საბჭო, სადაც გაერთიანებულია 50 წევრი. შეინარჩუნეს ძველი, ისტორიული თემები, თანაც — ყოფილ საზღვრებში. ხევსურეთში დღეს სულ 14 თემია. თითო თემიდან თანაბარი წარმომადგენლობით 4-4 კაცი, შედგა სწორედ თემთა საბჭო.

ერთობ საინტერესოა თემთა საბჭოს წესდება. მისი ყოველი მუხლის განხილვა, ალბათ, შორს წაგვიყვანდა, ამის შესაძლებლობა არცა გვაქვს, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ ეს წესდება კანონიერია, რამეთუ იგი მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა. წესდების მთავარი პრინციპები: ყოველ სოფელს ჰყავს თავის რჩეულ კაცთა სათათბირო 3-5 კაცის შემადგენლობით, მათ ორი-სამი წლის ვადით ირჩევს სოფლის კრება.

სოფლის უმაღლესი ორგანოა კრება, რომელიც ირჩევს წარმომადგენლებს სათემო საბჭოში, თითო თემი კი რამდენიმე სოფელს აერთიანებს. ყველა თემს ჰყავს თავისი საბჭო. დღეს 14 სათემო საბჭოში შედის აგრეთვე ყოფილი სასოფლო საბჭოები, ბარისახოს, გუდანის და შატილისა.

მობილური მართვისათვის, როცა ზამთრობით გზები იკეტება და მიმოსვლა შეუძლებელია, თემთა საბჭოს უძღვება შვიდკაციანი გამგეობა, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მოადგილეები, მდივანი და თემთა საბჭოს სამი წევრი, ხევსურეთის ცენტრიდან — ბარისახოდან.

გამგეობა ანგარიშვალდებულია თემთა საბჭოს წინაშე, ხოლო თემთა საბჭო ანგარიშვალდებულია სრულიად ხევსურეთის ყრილობის წინაშე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გამგეობის წევრებს ჯერ ხელფასები არა აქვთ. თემთა საბჭოს სურვილია, რომ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ მათ დახმარება გაუწიოს ბიუჯეტის შექმნაში.

ახლა მთავარია ფიქრი და ზრუნვა, რათა ხევსურებმა წინაპართა საცხოვრისს მიაშურონ.

თემთა საბჭოს ვარაუდით, ხევსურეთის აღორძინება ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს. ერთია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, რამაც ხევსურეთის საყოფაცხოვრებო პირობები მინიმალურად მაინც უნდა დააკმაყოფილოს. გათვალისწინებულია აგრეთვე საავტომობილო გზებისა და ელექტროხაზების მშენებლობა, ხევსურეთში მცხოვრები ეკონომიკურად მცირეძალოვანი ოჯახებისა და ბარიდან ამობრუნებულ ახალმოსახლეთათვის საცხოვრებელი სახლების აგება, მცხოვრებთა ზაფხულობით ავტოტრანსპორტით, ხოლო ზამთრობით — ვერტმფრენით მომსახურება.

მეორე პრობლემაა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათი ხევსურეთის სამსახურში ჩაყენება. საძოვრების გაქირავებით შემოსული თანხების გონივრული გამოყენება, ადგილობრივი პროდუქციის საწარმოო და სარეალიზაციო კოოპერატივების შექმნა. ხევსურეთში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქცია, ტექნოლოგიური გადამუშავებისა და რეალიზაციის შედეგად, მხარეს მისცემს გარკვეულ მოგებას, ამისათვის არის საჭირო კოოპერატიული სისტემის შექმნა. ყოველივესთან ერთად უნდა აღორძინდეს ხევსურეთის მეფუტკრეობა, მოეწყოს საკალმახე ტბორები, სამონადირეო მეურნეობები, ფერადი ქვების გადამამუშავებელი საამქროები, ოღონდ ყველაფერი უნდა გაკეთდეს გონივრულად, ისე, რომ ხევსურეთს ეკოლოგიური ზიანი არ მიადგეს.

ისიც სათქმელია, რომ თემთა საბჭოს წესდებით ხევსურეთს უფლება აქვს უცხოეთის ფირმებს დაუდოს ხელშეკრულებები ცალკეულ დარგებში ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად.

თემთა საბჭო განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ხევსურეთის ეკოლოგიური წონასწორობის დაცვას. ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის აღდგენას და შენარჩუნებას. განვლილ პერიოდში ხომ ყოველივე განუკითხავად ნადგურდებოდა, თუნდაც პირუტყვის უსისტემო ძოვების, მწყემსთა უპასუხისმგებლობისა და მათდამი უკონტროლობის გამო.

წლების განმავლობაში ცხვრის ძოვების ნორმებს არავინ უწევდა კონტროლს და ფარები საავტომობილო გზების გაყოლებით იკვებებოდნენ, რამაც იქ ბალახი მოსპო, მასობრივად დაიწყო ეროზიები, მაშინ როცა, ვთქვათ, შატილის გზიდან მოშორებით არსებული საძოვრები წლების განმავლობაში აუთვისებელი რჩებოდა. ამის გამო კი მეცხოველეობის დიდძალი პროდუქცია იკარგებოდა.

თემთა საბჭომ ამ პრობლემაზეც იფიქრა და მდგომარეობის გამოსასწორებლად ეკოლოგიური კომისია შექმნა.

სათემო საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება თავად, ადგილზევე გადაწყვიტონ ეკოლოგიური პრობლემები. რა თქმა უნდა, ეს ხევსურეთის ინტერესების დაცვით უნდა გააკეთონ.

ხევსურეთის ასაღორძინებლად უნდა განვითარდეს გლეხთა მეურნეობები. ხევსურებს შეუზღუდავად მიეცემათ სათიბ-საძოვარი. — ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მთას მართლა დაუბრუნდეს მთიელი.

არხოტში უკვე გაკეთდა ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, აპროექტებენ ხევსურეთის საავტომობილო გზებს, მზადდება მუცოსა და არხოტის მცირესიმძლავრიანი ელსადგურების სამშენებლო დოკუმენტაცია. ეს საქმე საერთოდ 2-3 წელიწადში უნდა დასრულდეს.

ამ დღეებში თემთა საბჭო გამოჰყოფს მიწის ნაკვეთს, სადაც გაზაფხულზე დაიწყება ხევსურეთში დამზადებული მეცხოველეობის პროდუქტების შესანახი სამაცივრო მეურნეობის მშენებლობა.

გადასაჭრელია პირიქითა ხევსურეთის ერთი დიდი პრობლემა. როგორც ცნობილია, 5-6 წლის წინათ დაიწყო შატილის სკოლა-ინტერნატის მშენებლობა. ეს საქმე ერთობ გაჭიანურდა და დღეისთვის იმდენად უმნიშვნელო სამუშაოა შესრულებული, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. სკოლას აშენებს „საქაგრომშენი“. საშენი მასალების უქონლობისა და მათ ტრანსპორტირებაში არსებული სიძნელეების გამო საქმე ადგილიდან არ იძვრის.

თემთა საბჭომ, დუშეთის რაიონისა და „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელებთან ერთად, შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ 1992 წლისათვის უნდა დაასრულოს ამ სკოლა-ინტერნატის მშენებლობა. ყოველივე ამას კი ვამბობთ, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ შატილისა და მიმდებარე სოფლების ბარე 50 ბავშვი ბარისახოს სკოლა-ინტერნატში სწავლობს. მთელი ზამთრის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები ერთმანეთს ვერ ხედავენ, აბა წარმოვიდგინოთ, თუ რა დღეშია მშობლის გული, ან როგორ მოქმედებს ეს დიდი ხნის უნახაობა ბავშვის ფსიქიკაზე. თანაც თუ ვფიქრობთ ხევსურეთის აღორძინებაზე და იქ ხევსურთა ჩასახლებაზე, ეს მოუგვარებელი საქმე ძალზე ცუდ სამსახურს გაუწევს კეთილ ჩანაფიქრს. სკოლა-ინტერნატის ამუშავებამ ხომ ადგილობრივი კადრები უნდა მოიზიდოს და დაასაქმოს, ესეც დიდი მოვლენა იქნება ხევსურეთის მომავლისათვის.

...ხევსურეთი ოდითგანვე თავისუფლებისმოყვარე იყო. ჩვენი საუბრის დასაწყისში ტყუილად როდი გავიხსენეთ კაი ყმები. ისინი სულ სხვა, ზნეობრივი კოდექსით იზრდებოდნენ და ცხოვრობდნენ. თემთა საბჭოს სურვილია წინაპართა ზნეობრივი კოდექსიდან ბევრი რამ აღადგინოს. და ხევსურთა ცხოვრებაში კვლავაც დანერგოს. ღმერთმანი, იქიდან ბევრი რამ არის გადმოსაღები და შესათვისებელი. თვით ყველაზე დიდი სასჯელის — თემიდან მოკვეთის დროსაც, დამნაშავეს უფლება ჰქონდა თან წაეყვანა ოჯახის წევრები. აბა დავუკვირდეთ რაოდენ კეთილგონივრული და ჰუმანური კანონია. ოჯახის მთლიანობა არ ირღვევა. შვილები მშობლებთან რჩებიან, გაჭირვება და მრუშობა ვერ დაარღვევს ოჯახის სიმტკიცეს. თვით ყველაზე საშინელ სისხლის აღების კანონსაც კი, თავისი დიდი გამართლება აქვს. ცოდვის ჩამდენმა და კაცის სისხლის დამღვრელმა დანაშაულის სიმძიმე საკუთარი ან ახლობლის სისხლით უნდა ზღოს. დღევანდელ, ვითომ ცივილიზებულ სამყაროში კი, ერთიმეორეს წიწილებივით ვწყვეტთ და არც ღვთისა გვეშინია, არც კანონისა. ჩვენი ჭირი როდემდე დავმალოთ და ხომ ვიცით, თუ ბევრი ფული გაქვს, კაცის სისხლიც გეპატიება, დედამიწაზე ივლი და არც ცოდვა დაგიმძიმებს სულს, არც მოსისხლისა გეშინია. მართლმსაჯულებასთან საქმეს მოაგვარებს და მერე ყველაფერი შენია. ბრალი იმისი, ვინც უბრალოდ მოკვდა, ცოცხლად დამარხა მშობლები და უპატრონოდ გაწირა ცოლ-შვილი.

თემთა საბჭოს სურვილია, რომ პატარა ხევსურებმა სკოლებში ისწავლონ წინაპართა ზნეობრივი და იურიდიული კოდექსი. ზნეობრივი ადამიანი ნაკლებ დანაშაულსა და ცოდვას ჩაიდენს, ვინემ უზნეო.

ხევსური თავისუფლებისმოყვარეა-მეთქი. ხევსურეთი ბოლომდე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ისე ამოუდგნენ მხარში, როგორც მათი წინაპრები — ბიძინა ჩოლოყაშვილს, როცა ბახტრიონის გალავანზე გადადიოდნენ. ხევსურმა ვერ მიიღო ის მთავრობა, რომელმაც მისთვის უცხო კანონი „მაიღა“.

ახლახანს, უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ხევსურებმა პროგრესულ ძალას მისცეს ხმა. თავიანთ წარმომადგენლად პარლამენტში აირჩიეს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი გიორგი ოჩიაური. საქართველოს პარლამენტისა დიდსა თუ პატარა ხევსურს ერთნაირად ეიმედება. ოღონდაც, პარლამენტი ფიქრობს და პრაქტიკულად იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, რაც თითოეული ხევსურის ნანატრი ოცნებაა. ხევსურებს უყვართ გმირები, დღეს მათ თავიანთი გმირი ჰყავთ, რომელსაც ისე გაჰყვებიან, როგორც წინაპრები „ნეფე ერეკლეს“ მიჰყვებოდნენ ასპინძისა თუ კრწანისის ომებში. ერთი სიტყვით, ხევსურები პარლამენტს იმედით შეჰყურებენ და ფიქრობენ, რომ მიუხედავად ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური გაჭირვებისა, ბოლო კეთილი იქნება და მალე ისეთ ხევსურეთს ვიხილავთ, როგორიც გვინდა, რომ გვქონდეს.

ამ ცოტა ხნის წინ ხევსურეთის თემთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი წიკლაურმა დუშეთის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორობას თავი დაანება და ხევსურეთს გაეშურა დასამკვიდრებლად. თემთა საბჭომ მოსამზადებელი სამუშაოები დაამთავრა და ხევსურეთის აღორძინებას შეუდგა. გიორგი წიკლაური და მისი თანამოაზრენი ისეთი კაი ყმები არიან, რომლებიც წინაპართა ერთ მცნებას მისდევენ „ვაჟკაცს რას გამოადგების, სოფელთ შვენება ტანისა, ბანებზე მიდგომ-მოდგომა, გამჩენეობა ქალისა, ხმალს უნდა აპრევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა“.

ჯემალ ქურხული,
ხევსურეთის თემთა საბჭოს მრჩეველი.

ნატოს ზამთრის „მარათონი“

ბრიუსელი. ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის სხდომების წინ ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი ევროპული ქვეყნების პოზიციათა კოორდინაციას მიეძღვნა აქ გამართული ნატოს ევროჯგუფის სხდომა. მასში მონაწილეობდნენ ამ ქვეყნების თავდაცვის მინისტრები. არ ესწრებოდნენ მხოლოდ საფრანგეთი, რომელიც არ შედის ბლოკის სამხედრო ორგანიზაციაში, და ისლანდია, — ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკუთარი შეიარაღებული ძალები.

სხდომაზე მიღებულ ერთობლივ განცხადებაში დადებითად არის შეფასებული ევროპაში მიმდინარე პროცესები, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ დეკლარაციის ხელმოწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი აღარ არიან მეტოქეები. ამავე დროს დოკუმენტში გამოთქმულია აზრი, რომ ნატოს არსებობა აუცილებელია კონტინენტზე სტაბილურობისა და კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

სპარსეთის ყურის კრიზისისადმი მიძღვნილ ნაწილში ხაზგასმულია „მნიშვნელოვანი წვლილი“, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შეაქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქმეში. განცხადებაში მიესალმებიან ნატოს ქვეყნების „ინდივიდუალურ მონაწილეობას“ ამ ძალისხმევაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი ჩრდილოატლანტიკური კავშირის, როგორც ერთიანი ორგანიზაციის როლზე. მიმომხილველთა აზრით, ეს მოწმობს, რომ არ არის ერთიანი მიდგომა ამერიკის მოთხოვნებისადმი, რომელიც საჭიროდ თვლის, რომ მოკავშირეებმა გაზარდონ თავიანთი სამხედრო პოტენციალი რეგიონში. სახმელეთო ჯარები სპარსეთის ყურეში გაგზავნეს მხოლოდ საფრანგეთმა და ინგლისმა, ბლოკის სხვა ქვეყნები კი სიმბოლური აქციებით შემოიფარგლნენ.

განცხადებაში არ არის ნახსენები მოლაპარაკება ევროპაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესახებ, მაგრამ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას გერმანიის თავდაცვის მინისტრმა გერჰარდ შტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ის შეიძლება „უახლოეს მომავალში“ დაიწყოს. მან შეახსენა მსმენელებს, რომ გერმანია მხარს უჭერს სახმელეთო ბაზირების მცირე სიშორის ბირთვული საშუალებების ლიკვიდაციას, თუმცა იქვე განაცხადა, ნატოს ქვეყნები ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციას შესაძლებლად ვერ თვლიან.

ახალი სისტემის აუცილებლობა

ვარშავა. ჰელსინკის თათბირის მონაწილე ქვეყნების ლიდერთა პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ დაიწყო ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების ახალი სისტემის მშენებლობის პროცესი, რომლის ინტეგრალური ელემენტი უნდა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ბლოკი. ეს განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. სკუბიშევსკიმ ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობდა. სანამ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა არ შექმნილა, პოლონეთმა უნდა ითანამშრომლოს ნატოსთან და იფიქროს ახალ ხელშეკრულებებზე, ვინაიდან ბლოკური დაპირისპირებისა და ორმხრივი კავშირების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, განაგრძო მინისტრმა. სულ უფრო ახლოვდება ვარშავის ხელშეკრულების მოღვაწეობის დასრულების პერსპექტივა და მომავალ წელს გაუქმდება მისი სამხედრო სტრუქტურები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, აღნიშნა მინისტრმა, რომ პოლონეთი ნატოს მოქმედების გეოგრაფიული ზონის გაფართოების მომხრეა. ამავე დროს მან თქვა, რომ ნატომ არ უნდა გაუშვას თვალთახედვის არედან კონტინენტის ის ნაწილი, სადაც პოლონეთი მდებარეობს.

კ. სკუბიშევსკიმ აღნიშნა, რომ ნატოში მისი ქვეყნის მონაწილეობის საკითხი საერთოდ არ განიხილება. ეს პრობლემები ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. რათა საბჭოთა კავშირის შეშფოთება არ გამოიწვიოს. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები საბჭოთა კავშირთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ახალი შეთანხმებების შემუშავების მიმართულებებით, რომლებიც კეთილმეზობლურ ურთიერთობას და თანამშრომლობას ითვალისწინებს.

სამოკავშირეო ხელშეკრულების ირგვლივ

სტეფანაკერტი. სამოკავშირეო ხელშეკრულებაში აუცილებელია დადასტურდეს არა მარტო რესპუბლიკების, არამედ აგრეთვე მასში შემავალი ეროვნული წარმონაქმნების გაერთიანების ნებაყოფლობითი ხასიათი, ამბობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. დადიანცი. ხელშეკრულების მონაწილე უნდა იყოს ყველა ეროვნული ოკრუგი, ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკა, მოკავშირე რესპუბლიკა. რომელთა საერთო რიცხვი დღეს 58-ია, ხვალ კი შეიძლება მეტიც იყოს, მიაჩნია მეცნიერს.

კიევი. — თუ სამოკავშირეო ხელშეკრულება მართებულად და ყოვლისმომცველად გამოხატავს რესპუბლიკების და არა მარტო ცენტრის ინტერესებს, მაშინ იგი, ალბათ, მოწონებულ და ხელმოწერილ იქნება, — ამბობს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დ. გნატიუკი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, გნატიუკის აზრით, მხოლოდ უკრაინის სსრ კონსტიტუციის მიღების შემდეგ უნდა მოხდეს. რომელიც უზრუნველყოფს გამოცხადებული სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და დაცვას.

კიშინიოვი. მოლდოვას აუცილებლად ესაჭიროება ძალების გაერთიანება სხვა რესპუბლიკებთან, — განაცხადა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ხ. რედეუცანმა, — ვინაიდან მცირე სახელმწიფოს გაუჭირდება ძალების და სახსრების კოლოსალური ტვირთის ზიდვა. ამიტომაც მსოფლიოში სწრაფად ვითარდება ინტეგრაციისა და კოოპერაციის პროცესები.

ბაქო. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიღებამდე აუცილებელია დაეკითხონ ქვეყნის ხალხებს, უპასუხებს თუ არა განსახილველად გამოქვეყნებული პროექტი მათ მისწრაფებებსა და იმედებს. ამიტომაც დროა გამოყენებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელიც რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს, მიაჩნია აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგეს ა. იბრაგიმოვს. დღეს, როდესაც დღის წესრიგშია აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის, მისი მოქალაქეების უსაფრთხოების საკითხი, არ შეიძლება სამოკავშირეო ხელშეკრულების მიღება ვანდოთ ადამიანთა ვიწრო წრეს. დაე, თვით ხალხმა გადაწყვიტოს თავისი ბედი, ხაზი გაუსვა იბრაგიმოვმა.

დეპუტატი **ვ. სამარინი:** დოკუმენტი ეძღვნება სუვერენული რესპუბლიკების ხელშეკრულებას მაგრამ ძალზე ცოტა რამ არის ნათქვამი კავშირის სუვერენიტეტზე. უნდა განვიხილოთ არა მარტო ეროვნული საკითხები, ეროვნული წარმონაქმნების ინტერესები, არამედ სუვერენული სამოქალაქო საზოგადოების — კავშირის ინტერესებიც. ქვაკუთხედი უნდა იყოს ინტერესების ერთიანობა, ადამიანის უფლებები, ღირსება და ა. შ.

დეპუტატი **ა. რზაევი:** გვთავაზობენ ჩვენ სახელმწიფოს დავარქვათ სუვერენულ რესპუბლიკათა კავშირი. აქამდე მას ერქვა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი, თუმც ახლა ცხადია, რომ არავითარი სოციალიზმი არ არსებობდა. „სუვერენული“ ასეთივე ფარატინა ქაღალდი ხომ არ იქნება? შეიძლება შეიქმნას 50 ან 100 სუვერენული რესპუბლიკა თავისი ჰიმნით, ღერბით, ალმით, მინისტრთა საბჭოთი, სხვა ატრიბუტებითურთ, მაგრამ განა ამით უფრო ბედნიერნი და თანასწორუფლებიანნი გავხდებით? ნაჭრებისაგან ასე შეკოწიწებული სახელმწიფო ვერ იქნება ვერც სტაბილური, ვერც ბედნიერი და ვერც დემოკრატიული.

ესტონეთი: შემოღებულია კვოტა საქონლის გატანაზე

ტალინი. სასაქონლო-სალიცენზიო დეპარტამენტმა შემოიღო კვოტა ესტონეთიდან ნედლეულის, მასალებისა და მზა ნაწარმის გატანაზე. უცხოეთის ფირმებთან და საბჭოთა პარტნიორებთან მოვაჭრე საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებისათვის ახლა უნდა მიიღონ ლიცენზიები გასატან საქონელზე. ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შემოღებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ესტონეთიდან მატერიალური ფასეულობების გატანის ან გაგზავნის წესების დარღვევისათვის.

ესტონეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სასაქონლო-სალიცენზიო დეპარტამენტის გენერალურმა დირექტორმა მ. იურგენსმა განმარტა, რომ ლიცენზიები ავტომატურად და უფასოდ მიიღო ყველა იმ საქონელმა, რომელიც შედის სახელმწიფო შეკვეთების ნომენკლატურაში. 1991 წლისათვის კი ლიცენზიებს გასცემენ მხოლოდ 15 დეკემბრის შემდეგ, როცა დამთავრდება საგაისო სახელმწიფო შეკვეთათა დადების ვადა.

რაც შეეხება კერძო პირებს, როგორც ხაზგასმული იყო მთავრობის დადგენილებაში, თითოეულს უფლება აქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანოს საქონელი, რომლის თანხა არ აღემატება 200 მანეთს, მათ შორის 50 მანეთის სასურსათო საქონელი, 1 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელი, 10 კოლოფი სიგარეტი ან პაპიროსი. ბოსტნეულის შემოსავლის პერიოდში ხუტორების მცხოვრებთ, რომლებმაც იგი გასაყიდად მოიწიეს, შეუძლიათ გადაამეტონ ზემოდსახელებულ კვოტებს. უფრო მსხვილი ოპერაციებისათვის საჭიროა ლიცენზიების მიღება, რომლებსაც 15 ნოემბრიდან გასცემენ არა მარტო საბაჟო-სალიცენზიო დეპარტამენტი, რომელიც ტალინში მდებარეობს, არამედ სამაზრო ცენტრებში მდებარე საექსპედიტორო საწარმოებიც.

ინტიფადას წლისთავის წინ

ამანი. ისრაელის სამხედრო-სარდლობა შეუდგა არმიის და პოლიციის დამატებითი ქვეგანაყოფების განლაგებას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. ამ ნაბიჯის მიზანია არ დაუშვან ადგილობრივ მცხოვრებთა ახალი გამოსვლები ინტიფადას-პალესტინელთა აჯანყების მესამე წლისთავზე, რომელიც 9 დეკემბერს აღინიშნება. გაძლიერებული სამხედრო და პოლიციის ქვეგანაყოფების განლაგება ნავარაუდევია ოკუპირებული დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის ყველა დასახლებულ პუნქტში. ამანის რადიოს ცნობით, იმ ოპერაციაში გამოიყენებენ 10 ათას ჯარისკაცსა და პოლიციელს.

ებრაელ მოსახლეთა შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც ძირითადად საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულთაგან შედგება, შეიჭრა სოფელ რაფიაში და დაარბია იგი. გაზეთ „აშ-შარკ ალ-აუსატის“ ცნობით, კოლონისტები მანქანებს უწვავდნენ არაბებს, უნგრევდნენ სამეურნეო შენობებს, სასტიკად სცემდნენ გლეხებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს. სასტიკად ნაცემი ათი წლის პალესტინელი საავადმყოფოში მიიყვანეს.

ბიზნესი დინოზავრებზე

იაპონიის ქალაქ ოსაკას საერთაშორისო აეროპორტში საფრანგეთიდან ჩამოვიდა... დინოზავრის კვერცხების პარტია, რომლებიც ორმოციოდე წლის წინათ იპოვეს ევროპის კონტინენტის დასავლეთით. კვერცხების „პატრონი“ — გიპსელოზავრი ამ ადგილებში 70 მილიონი წლის წინათ სახლობდა. კვერცხის დიამეტრი 80 სანტიმეტრია, მათი საერთო წონა კი 45 კილოგრამს შეადგენს.

ამ უჩვეულო ტვირთის იმპორტი ამომავალი მზის ქვეყანაში განახორციელა იაპონურმა ფირმამ „მიცუიმ“. როგორც ფირმის წარმომადგენელმა განაცხადა, იგი ვარაუდობს სოლიდური შემოსავლის მიღებას პალეონტოლოგიური ნაპოვნების მოყვარულთაგან, რომლებიც მრავლად არიან იაპონიაში. მეწარმენი დარწმუნებული არიან, რომ შესაბამისი რეკლამის პირობებში თორმეტმეტრიანი გიგანტის კვერცხებზე დიდი მოთხოვნილება იქნება. მართალია, ჯერ საქონლის მყიდველი არ ჩანს...

სურათზე: სიფრთხილეს მიჩვეულმა იაპონიის საბაჟოს მოხელეებმა მაინც გადაწყვიტეს ტვირთის გახსნა აკრძალული საქონლის, კერძოდ, ნარკოტიკების აღმოჩენის თვალსაზრისით.

კიოდო-საკდენის ფოტო.

წერილები რედაქციას

საქართველო უპირველეს ყოვლისა

დღევანდელობის მშფოთვარე, მღელვარე და დამაფიქრებელი სიტუაცია ყოველ გონიერ, პატრიოტ ქართველში უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობის გრძნობის მკვეთრ ამაღლებას. ამ ახალ ვითარებაში, როდესაც ჩვენმა ერმა გამოხატა თავისი ნება და მიენდო მრგვალი მაგიდის ბლოკს, მის წინამძღოლს — ზვიად გამსახურდიას, ყოველივე მთავარი ამით გამოითქვა, ცალსახად და გადამჭრელად. ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტია ხალხის აზრის და მხარდაჭერის რეალიზაციისათვის. სწორედ ასეთი არჩევნების ნება მოიპოვა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ და თუ არა არსებული ხელისუფლების თანხმობისა და იმ სიტუაციისა, რაც საბჭოთა კავშირში შეიქმნა ე. წ. „პერესტროიკის“ პირობებში, რეალურად უსისხლო რევოლუციის ჩატარების უფლებას ჩვენ არავინ მოგვცემდა. შეიქმნა ჩვენი ქვეყნისათვის უპრეცედენტო მდგომარეობა — ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. ამ დროს ერის მთელი ძალები, საღად მოაზროვნე ძალები, ერთი მიზნისაკენ უნდა მიმართულიყო, რაც მოხდა კიდეც — ქართველმა ერმა გააკეთა არჩევანი და თანაც საკმაოდ გამოკვეთილი უპირატესობით ხმა მისცა მრგვალი მაგიდის ბლოკს!

ასეთ ვითარებაში ცივილიზებული ერების წარმომადგენლები ეროვნული კონსოლიდაციისათვის თავის ვიწრო პარტიულ ამბიციებს, აზრებს, მისწრაფებებს უციილობლად უქვემდებარებენ არჩევნებში გამარჯვებულებს, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო ჩვენშიც.

დემოკრატიის საწყისების პირობებში ასეთი გამარჯვება ელემენტარულ თანადგომას მოითხოვს, რადგან ცენტრთან მკვეთრი დაპირისპირება ძალისმიერი პოზიციიდან თავიდანვე თითქმის განწირულია, თუ ჩვენ მისწრაფებას სრული სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ კანონზე დაყრდნობით და თანდათანობით არ განვახორციელებთ. ამჟამად სხვა გზას მე ვერ ვხედავ თუ არა თანდათანობით, დაჟინებით ჩვენი ნების იურიდიული კონცეფციებით გატანისა და დამკვიდრებისა!

ისეთ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირი სიამის ტყუპების დაცილების მწვავე, აგონიზირებულ ოპერაციის საწყისებზეა გასული, ყოველგვარი არა ნატიფი ქირურგიული ჩარევა სიკვდილის ტოლფასია. ამ დროს აზრთა სხვადასხვაობა დემოკრატიული პრინციპით უნდა გადაწყდეს, უმრავლესობის აზრს უნდა დაექვემდებაროს ყოველივე, ეს ეხება ყოველგვარ ორგანიზაციას, არჩევითს თუ არა არჩევითს, ეროვნულ საჯარისო ფორმირებებს, რომლებიც დეპოლიტიზირებული და საერთო საჯარისო საწყისების სრული დაცვით უნდა იყოს ფორმირებული და არა პარტიზანული საწყისების გამოყენებით. ყოველივე ახალი თუ ძველი ეროვნული ფორმირება ახლადარჩეულ უმაღლეს საბჭოს — ჩვენ ეროვნულ პარლამენტს უნდა დაემორჩილოს, თანაც ცივილიზებულ ერს რომ ეკადრება, ისეთი ფორმით!

ნ. ნუცუბიძე,
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ქ. თბილისის № 4 კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომელთა მიმართვა

საქართველოს ეროვნულ კონგრესს!
სრულიად საქართველოს მოსახლეობას!
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას!

ქ. თბილისის №4 (ყოფილი მე-8) საავადმყოფოს კოლექტივი ფრიად შეშფოთებულია საქართველოში უკანასკნელ ხანებში მიმდინარე პროცესებით. საქმე ეხება კონფრონტაციას, რომელიც ღრმავდება ეროვნულ კონგრესსა და კანონიერად არჩეულ უზენაეს საბჭოს შორის. ამავე დროს ვთვლით, რომ აღნიშნული დაპირისპირების მოთავეა სწორედ კონგრესის ხელმძღვანელობა და მისი ზღვარდაუდებელი ამბიციურობა. ისინი ვერ ურიგდებიან უზენაეს საბჭოში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“-ს პოლიტიკური ორგანიზაციების გამარჯვებას, რომელიც ნამდვილად არჩეულია საქართველოს მოსახლეობის ნებით, განსხვავებით კონგრესის ყოვლად გაუგებარი და საეჭვოდ გახანგრძლივებული არჩევნებისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საავადმყოფოს პერსონალის აბსოლუტურ უმრავლესობას კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რამეთუ მათი ლიდერების პოზიციიდან გამომდინარე, თავიდანვე გვაეჭვებდა, რომ იგი გახდებოდა საქართველოში დაპირისპირების ინიციატორი და საბოლოო ჯამში ჩვენი მტრების წისქვილზე დაასხამდა წყალს (აკი აგვიხდა კიდეც). ჩვენ კი მაინც გვინდა გვჯეროდეს, რომ კონგრესი არ არის ინსპირირებული ძალა და მხოლოდ საკუთარი შეცდომებით საზრდოობს.

სავსებით გაუგებარია პარუირ აირიკიანის ოვაციებით მიღება კონგრესის მიერ პრაჰის ე. წ. რეზოლუციის შემდეგ, სადაც ქართველი ხალხი მოურიდებლად ლაფშია ამოსვრილი.

რაც შეეხება მხედრიონს და სხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებს, ქართველ ხალხს სჭირდება ერთი მიზნით გაერთიანებული დისციპლინირებული ქართული ჯარი და ეროვნული მილიცია. ამ ფორმირებებში მისაღები წევრები სათითაოდ წარდგენილ იქნან ქართველი ერის წინაშე შეულამაზებელი ავტობიოგრაფიით. დაე, ქართველმა ხალხმა თავად გადაწყვიტოს, რომელი მათგანია ღირსი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგომისა.

საქართველოსათვის ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში, ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია შიმშილობის გაგრძელება, იგი, ჩვენი აზრით, მხედრიონის წევრების მიერ თვით მხედრიონის პრინციპებს ეწინააღმდეგება და ეროვნული ინტერესებს არ ემსახურება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მე-4 კლინიკური საავადმყოფოს საერთო კრებამ დაადგინა:

1) შეწყვიტოს კონგრესმა ყოვლად გაუმართლებელი თავდასხმები ეროვნულ პარლამენტზე;

2) შეწყვიტოს შიმშილობის აქცია მხედრიონის წევრებმა, რომელშიც ჩვენ ვაჟკაცურს ვერაფერს ვხედავთ;

დაუყოვნებლივ ჩააბარონ იარაღი სხვადასხვა შეიარაღებულმა ჯგუფებმა კანონიერ ხელისუფლებას და დაემორჩილონ საერთო წესს;

4) მე-4 კლინიკური საავადმყოფოს 1000-კაციანი კოლექტივს სჯერა ეროვნული პარლამენტისა და ბოლომდე მიჰყვება მას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

5) თუ ჩვენი მოთხოვნა არ იქნება მიღებული, მაშინ მთელ ქართველ ერთან ერთად მივმართავთ საპროტესტო აქციას.

6) ვთხოვთ სრულიად საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას, დაგვიჭირონ მხარი აღნიშნულ მოთხოვნებში.

7. ვთხოვთ საქართველოს ტელევიზიას და პრესას, გამოაქვეყნონ მიმართვის სრული ტექსტი.

დადგენილება მიღებულია მე-4 კლინიკური საავადმყოფოს საერთო კრებაზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

1990 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა განცხადება, რომელიც აგრეთვე შემოკლებული სახით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, იგი გაკეთდა უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კრების სახელით. საინსტიტუტო კრებას მსგავსი განცხადება არ მიუღია. იგი გააკეთა თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელიც ა. წ. 5 დეკემბერს გაიმართა, მიიღო განცხადების შემდეგი ტექსტი:

„თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები მთლიანად მხარს უჭერენ დემოკრატიული გზით არჩეულ საქართველოს ეროვნულ პარლამენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით და მის კანონიერ მთავრობას ბატონ თენგიზ სიგუას მეთაურობით.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას, გაერთიანდეს ეროვნული პარლამენტის გარშემო, ხოლო პოლიტიკური დისკუსია გამართოს იმ ფორმებისა და წესების გამოყენებით, რომლებიც მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში.

განცხადების ტექსტი განხილული და მიღებულია ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა საერთო კრებაზე ა. წ. 5 დეკემბერს.“

ამ განცხადებას შეუერთდა ინსტიტუტის სტუდენტობა ა. წ. 6 დეკემბერს გამართულ საერთო კრებაზე.

კრების სახელით ინსტიტუტის რექტორატი

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას!

დღეს, როცა აღსრულდა ერის ნება და არჩეულ იქნა მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი; დღეს, როცა ერი თანადგომას უცხადებს უზენაეს ხელისუფალთ უსისხლო, პარლამენტური ფორმის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, გრძელდება ცალკეული პიროვნებებისა თუ რეაქციული ძალების მიერ ერის შვილთა ხოცვა-ჟლეტა. დღე არ გავა, ტელევიზიამ და პრესამ არ ამცნოს საზოგადოებას თავდასხმის ან ძარცვის შემთხვევები თავისი მძიმე შედეგებით —სიკვდილით. ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში დღითი-დღე იძაბება. ალბათ, ვიღაცას აწყობს ჩვენთან არეულობა.

დროა, გონს მოვეგოთ! გვეყოფა ამდენი შავსანი დედა, ჭირისუფალი, დაობლებული პატარები და ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ახალგაზრდები. ვინ მისცა ქართველ ერს შვილი დასაკარგავი! ბოლო უნდა მოეღოს სისხლის ღვრას, შევისისხლხორცოთ ქრისტეს შეგონება, ვიყოთ მიმტევებლები და ვაჩუქოთ ერთმანეთს სიკეთე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ მკვლელთა თუ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა გამოვლენასა და მათი ხალხის სამსჯავროზე გამოყვანას! დაე, მათ თვით ერმა გამოუტანოს განაჩენი.

კეთილი ინებონ შეიარაღებულმა ორგანიზაციებმა და დაემორჩილონ ხალხის მიერ არჩეულ ოფიციალურ მთავრობას. დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი საპროტესტო აქციები! დღეს ამის დრო არ არის; თორემ ქართველი ერი დღევანდელ დაუდევრობას, ხალხის ნების უპატივცემულობას არავის აპატიებს.

ყველამ, ვისაც საქართველოსთვის უცემს გული, კეთილსინდისიერად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, გვერდში ამოვუდგეთ ახალ მთავრობას და ერთად, შეთანხმებულად ვიბრძოლოთ იმ სანუკვარი მიზნისათვის, რასაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი ამ ძნელბედობის ჟამს!

გლდანის რაიონის სანეპიდსადგურის შრომითი კოლექტივი.

საზღვარგარეთ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ ამერიკელი ჟურნალისტის ედმუნდ სტივენსისადმი

(დასასრული)

— ჩემს გამონათქვამებში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. როდესაც აზერბაიჯანიდან, ოსეთიდან ჩამოსახლებულთა გარკვეული ნაწილი და სხვა გადამთიელები აგრესიულად იქცევიან, ფეხქვეშ თელავენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მას, აგრეთვე, როდესაც ისინი ცდილობენ ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა სიცოცხლე, მაშინ ყოველივე ამას ჩვენ მივიჩნევთ აგრესიისა და დისკრიმინაციის აქტად.

საკუთარ მიწა-წყალზე ქართველი მოსახლეობის შევიწროება ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთაშორისო დანაშაული.

კანონის პატივისცემა მოეთხოვებათ არა მარტო აზერბაიჯანელებს, არამედ ყველა სხვა ერის წარმომადგენლებსაც. უკანონოდ დაკავებული მიწები უნდა გაათავისუფლოს ყველამ, მათ შორის ქართველებმაც. მაგრამ საქართველოში უნგრევენ უკანონოდ აშენებულ სახლებს ქართველებს, ხოლო არაქართველი მოსახლეობის სახლებს თითს არ აკარებენ. ჩვენ ასეთი დისკრიმინაციის წინააღმდეგი ვართ, რაც შეეხება ნაირ-ნაირ სეპარატისტებს, ჩვენ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ვინაიდან სეპარატისტთა პრეტენზიები — ნაწილ-ნაწილ დააქუცმაცონ საქართველო — ყოვლად უკანონოა.

რაც შეეხება ჰელსინკის შეთანხმებას, იგი როდი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ხელაღებით შეუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ასიათასობით გადამთიელი მუდმივი დასახლებისათვის. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს მოქალაქეობის კანონი, საქართველოს ასეთი კანონი ჯერ არა აქვს. ამიტომ ჩვენ, ამ კანონის მიღებამდე ვერ ჩამოვუშვებთ უცხოტომელებს, თანაც ესოდენ დიდი ოდენობით, ჩვენს პატარა, მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც უამისოდაც მოსახლეობის 35 პროცენტს უცხოელები შეადგენენ. ასეთ შემთხვევებში ჩვენ კვლავ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო სამართლით, რომელსაც ემყარება ჰელსინკის შეთანხმებაც. ჰელსინკის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებს ასევე აქვთ კანონები, რომლებიც ზღუდავენ ემიგრანტების, მეტადრე მუშახელის უსაზღვრო მოზღვავებას მათს ქვეყნებში.

— ჯერ კიდევ წინა რეჟიმის დროს დატოვეს საქართველო დაღესტნელებმა, მიდიან ბერძნები, ახლა ვისი ჯერია? არსებობს კი იმის გარანტია, რომ განახლებულ საქართველოში მშვიდობა დაისადგურებს სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის?

— როდესაც გარედან ჩარევა შეწყდება, საქართველოში ყველა ეთნიკური პრობლემა თანდათან მოგვარდება. ამის დასტურია საქართველოს ისტორია. ჩვენში ოდითგან, მრავალი საუკუნის მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრდა სხვადასხვა ეთნიკურ წარმომადგენელთა მშვიდობიანი და თანასწორუფლებიანი თანაცხოვრება. რაც შეეხება მიგრაციას, იგი მუდამჟამს ხდება ნებისმიერ სახელმწიფოში. ხელს ხომ არ შევუშლით ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნებით მიემგზავრებიან ისტორიულ სამშობლოში.

— თუ საიდუმლო არ არის, რა საკანონმდებლო აქტების პაკეტის განხილვას აპირებს ახლად არჩეული პარლამენტი რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხთან დაკავშირებით?

— დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი იქნება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთობის ნორმალიზაციის ჭეშმარიტი გარანტი.

— ხომ არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიის გაუქმება მოსაზღვრე თურქეთთან ურთიერთდამოკიდებულების გართულებას? აჭარლები ხომ სხვა რელიგიას მისდევენ. გარდა ამისა, თურქეთში, როგორც ცნობილია, 2 მილიონამდე წარმოშობით ქართველი ცხოვრობს.

— შინაური პრობლემების სამართლებრივი გადაწყვეტა ქართველი ერის პრეროგატივაა. აქვე უნდა დავძინო, რომ სხვა რელიგიის აღმსარებელნი აჭარელთა უმრავლესობას არ შეადგენენ. ჩვენ გავაუქმებთ აჭარის ავტონომიას მხოლოდ აჭარელთა თანხმობით, ე. ი. რეფერენდუმის გზით. რაც შეეხებათ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, მათს სურთ იხილონ ერთიანი, და არა ავტონომიებად დაქუცმაცებული საქართველო. საქართველოში ქართველთა ავტონომიას არავინ არ იწონებს, აჭარის კომუნისტური მაფიის გარდა.

— ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვით საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთ ცხოვრობს. განახორციელებს თუ არა ახლად არჩეული საქართველოს პარლამენტი ღონისძიებებს მათი სამშობლოში დაბრუნებისათვის, ხოლო თუ განახორციელებს, ხომ არ გამოიწვევს ეს ახალ გართულებებს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების პირებთან დაკავშირებით? საქართველოს ხომ არცთუ ისე დიდი მიწის მარაგი აქვს.

— ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნება არაფერს ავნებს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ცხოვრების პირობებს, გარდა ამისა, ჩვენი ემიგრაცია ერთობ მცირერიცხოვანია და მათგან მხოლოდ ნაწილს სურს დაბრუნდეს სამშობლოში.

— ცალკეულ პუბლიკაციებში გამოსჭვივის აზრი, რომ საქართველოს უნდა დაუბრუნდეს იმ ტერიტორიების ნაწილი, რომლებიც წინათ მას ეკუთვნოდა და ამჟამად სხვა რესპუბლიკების: სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის შემადგენლობაში შედის. რა ტერიტორიებზეა ლაპარაკი? და როგორ აპირებს საქართველოს ახალი მთავრობა ამ უაღრესად რთული საკითხის მოგვარებას?

— მმართველობის ამ სტადიაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ განიხილავს ამ საკითხებს.

— საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევის შემდეგ თქვენ გამოაცხადეთ სამწლიანი გარდამავალი პერიოდი. რა რეფორმების განხორციელებას აპირებთ ამ პერიოდში, და რა იქნება შემდეგ?

— ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ საქართველოს ანექსიის შედეგები. მთლიანად შევაჩეროთ სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე, მოვამზადოთ ახალი საკანონმდებლო აქტები და ეკონომიკური საფუძვლები საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, შევქმნათ საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

— ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ჩამოტანილ ნედლეულს ემყარება. სურსათის, ნავთობპროდუქტების, საწვავ-საპოხი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ქვეყნის სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდა საქართველოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თქვენ გამოაცხადეთ კავშირისაგან სრული დამოუკიდებლობის კურსი, ეტყობა, გაქვთ რაღაცის იმედი, არა? საიდან შემოიტანთ ნედლეულს მრეწველობისათვის, როგორ გადაწყვეტთ სასურსათო პროგრამას?

— საქართველოს საკმარისად აქვს ბუნებრივი რესურსები იმ დეფიციტის შესავსებად, რომელსაც იგი სხვა დარგებში განიცდის. ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკა საკავშირო ეკონომიკაზეა დამოკიდებული, იმის შედეგია, რომ საქართველო ტუსაღია ხალხთა საპყრობილის — საბჭოთა იმპერიისა, იგი იზოლირებულია დანარჩენ მსოფლიოსაგან, არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. სამრეწველო ნედლეულის საკითხს, სურსათის საკითხს მოევლება, როდესაც საქართველო თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადავა და გახდება მსოფლიო ბაზრის სრულუფლებიანი წევრი, სადაც იგი გაიტანს თავის რესურსებსა და მდიდარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, განავითარებს ტურიზმს და დაეპატრონება თავის შესანიშნავ კურორტებს.

— მრგვალი მაგიდის წინასაარჩევნო პლატფორმის ეკონომიკურ ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ კავშირისაგან უნდა მიიღოთ საქართველოს ეროვნული კუთვნილების ის ნაწილი, რომელიც მრგვალი მაგიდის აზრით, გაიტანეს საქართველოდან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. როგორ აპირებს საქართველოს ახალი პარლამენტი შეაფასოს გაზიდული კუთვნილების ოდენობა და კონკრეტულად ვის უნდა წაუყენოს სარჩელი: მთლიანად კავშირს თუ სახელდობრ რუსეთს?

— საფინანსო და ეკონომიკურ ექსპერტებს საკმარისად აქვთ საიმისო ხერხები, თუ როგორ შეაფასონ საქართველოს მრავალი წლის კოლონიური ძარცვის შედეგად ე. წ. ცენტრისათვის წასაყენებელი მოთხოვნების ოდენობა.

— ჯერ კიდევ ამ პოსტზე არჩევამდე თქვენს გამოსვლებში გაისმოდა მოწოდებები, რომ საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიღებული უნდა იქნეს რეფერენდუმის გზით. რჩება თუ არა ეს ძალაში, როგორ აპირებთ ამის განხორციელებას და რა საკითხებზე მოეწყობა რეფერენდუმი?

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა რეფერენდუმის ძალა შეიძინა, რეფერენდუმის სპეციალურ კანონს ჩვენი პარლამენტი შემოიღებს.

— თქვენი მრავალი გამოსვლიდან ნათლად ჩანს, რომ თქვენ საქართველო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მსხვერპლად მიგაჩნიათ, და ამაში ძნელია არ დაგეთანხმოთ. ამავე დროს კავშირის ხალხებს ყველაზე მეტი ტანჯვა-ვაება მოუტანა ეროვნებით ქართველმა სტალინმა. მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი თაყვანს სცემს მისი როგორც დიდი მოღვაწის ხსოვნას. როგორია თქვენი დამოკიდებულება სტალინის მიმართ და როგორ განმარტავდით საქართველოში არსებულ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას „ხალხთა მამამთავრისადმი“?

— არ არის გამართლებული, ხაზგასმით აღინიშნოს სტალინის პიროვნებაში მისი ქართველობა. სტალინი ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა წარმოშვა, და როდესაც იგი დიქტატორად და ტირანად იქცა, მასში უკვე ქართული აღარაფერი იყო, როგორც ამას აღნიშნავს თვით მისი ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა. მართალია, მან დიდი ტანჯვა-ვაება მოუტანა კავშირის ხალხებს, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება დაატეხა თავს თავის „მშობლიურ“ საქართველოს, იმიტომ, რომ მუდამ ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ინტერნაციონალიზმი. მის ხსოვნას პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური შეგნების დაბალ დონეზე იმყოფებიან. ეს დაამტკიცა ჩვენმა არჩევნებმაც, როდესაც არავინ არ დაუჭირა მხარი საზოგადოება „სტალინის“ პრეტენზიას, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, და როდესაც კანონის შესაბამისად იგი ამოირიცხა არჩევნების მონაწილე პარტიების სიიდან.

— საინტერესოა, ერთგვარი პარალელის სახით, გავიგოთ თქვენი აზრი გორბაჩოვზე, რომლის რეფორმებმაც, არსებითად გაუხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის გზა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის გზა გაუხსნეს დასავლეთის იმ პროგრესულმა და ალმაშენებელმა ძალებმა, რომლებიც ახორციელებდნენ და ახორციელებენ ტოტალიტარული იმპერიის პოლიტიკურ დემონტაჟს, პროცესს, რომელშიც გორბაჩოვი ნებით თუ უნებლიედ აღმოჩნდა ჩათრეული. ვისურვებდი, რომ მისი საქმენი უფრო მეტად შეეფერებოდეს მის სიტყვიერ განცხადებებსა და პროგრამებს.

დასასრულ, ვუსურვებ მსოფლიოს ხალხებს საყოველთაო, ჭეშმარიტად ადამიანურ ბედნიერებას. ვისურვებდი, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი გაგებით მოჰკიდებოდნენ სსრ კავშირის ჩაგრულ ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან.

გამოსათხოვარი



ზურაბ ლაფერაძე

ქართულმა სათეატრო ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ზურაბ (კუკური) გრიგოლის ძე ლაფერაძე.

ზ. გ. ლაფერაძე დაიბადა 1926 წელს, ტყიბულის რაიონის სოფ. ნაქვაში. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გაიტაცა სცენამ. მონაწილეობდა მოსწავლეთა თვითმოქმედი დრამატული წრეების წარმოდგენებში. შემდეგ სანკულტურის თეატრში მოეწყო სტატისტად. 1944-46 წლებში მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა, პარალელურად ამავე თეატრთან არსებულ სტუდიაში სწავლობდა.

1946 წლიდან სოხუმის თეატრის მსახიობია. აქ გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი სახე. სოხუმის თეატრში ზურაბ ლაფერაძემ განასახიერა ოლეგ კოშევოის (ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“), ნეზნამოვის (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ონისეს (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), ნილის (მ. გორკის „მდაბიონი“), იერემია წარბას (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), აიტუზას (მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“) და სხვა საინტერესო სახეები. სოხუმის თეატრში გატარებულმა თერთმეტმა წელმა ზ. ლაფერაძე ჩამოაყალიბა საიმედო და მეტად საინტერესო მსახიობად, რომელსაც ერთნაირად იზიდავდა ჰეროიკული და სახასიათო პლანის გმირები.

მარჯანიშვილის თეატრს იგი 1956 წელს დაუბრუნდა. შესანიშნავად შეეთვისა ამ თეატრის დიდებულ ტრადიციებს და ღირსეულად ამოუდგა მხარში ხელგანთქმულ კოლექტივს. თავისი მართალი, გულწრფელი, ვაჟკაცური აქტიორული ხელოვნებით ზ. ლაფერაძემ მალე მოიპოვა თბილისელი მაყურებლის პატივისცემა და სიყვარული.

მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფია შეივსო ხალასი ნიჭიერებით, უშუალობით გამორჩეული სცენური გმირებით. ლაფერაძისეული შვანდია (კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“), უდრია (სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“), უფლისწული (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), პასტორი (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), ბეჟანა (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“), საბა (გ. ხუხაშვილის „გზები“), დე სილვა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), გრომილოვი (ა. ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“), გოგი ლეჟავა (ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“), ტერეზჩაკი (ი. ბუკოვჩანის „მამლის ყივილამდე“), დავით ჯანდიერი (ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“), შედელიძე (ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა“), მიხეილი (ვ. რასპუტინის „იცოცხლე და გახსოვდეს“) მის მდიდარ აქტიორულ შესაძლებლობებზე მეტყველებენ.

დიდი წარმატება და პოპულარობა მოუტანა ზურაბ ლაფერაძეს მისმა კინოდებიუტმა — გიორგის როლმა ფილმში „ჩრდილი გზაზე“. პირველ გამარჯვებას მოჰყვა მსახიობის აქტიური მოღვაწეობა ქართულ კინოში. მისმა მერაბ დევიძემ („მე ვიტყვი სიმართლეს“), ვარლამმა („ქალის ტვირთი“), გიორგიმ („საბუდარელი ჭაბუკი“), მიხომ („მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“), მამედოვმა („შეწყვეტილი სიმღერა“), მძღოლმა („შემთხვევა გზაზე“), ჰუსეინ-აღამ („მამლუქი“), ბეჟანამ („მე ვხედავ მზეს“), მიტროფანემ („მხიარული რომანი“) გამოამჟღავნა ზ. ლაფერაძის, როგორც კინომსახიობის შესანიშნავი მონაცემები.

მსახიობის სცენური და საეკრანო გმირები მიმზიდველი, კეთილშობილი ადამიანები არიან, მაყურებლისათვის ახლობელი და დასამახსოვრებელი. ასეთივე გულთბილი, მოკრძალებული, კეთილი ადამიანი იყო ზურაბ ლაფერაძე — ყველასათვის საყვარელი, ნიჭიერი მსახიობი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მაყურებლების, მისი კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

თეატრი

ლორკას ტრაგიკული სული...

გუშინ და გუშინწინ რუსთაველის თეატრში პრემიერა იყო. მაყურებელმა ნახა ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“. სპექტაკლი განახორციელეს ახალგაზრდა რეჟისორებმა მერაბ სვირავამ და ლევან წულაძემ. ისინი მიხეილ თუმანიშვილის და რობერტ სტურუას მოწაფეები არიან. შემთხვევითი როდია სპექტაკლის დადგმის უფლება რომ მათ მოიპოვეს. ჩვენ გვახსოვს მერაბ სვირავას და ლევან წულაძის სტუდენტური ნამუშევრები. პირველმა ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“ დადგა ზუგდიდის თეატრში, მეორემ კი ჰოლო ლომთათიძის „ოთორი ღამე“ სასწავლო თეატრში. ვისაც ეს სპექტაკლები უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მათ ისეთი პროფესიული განაცხადი გააკეთეს, არც შეიძლებოდა შემდგომ სვლას განსაკუთრებული ინტერესით არ დავლოდებოდით. და აი, ერთობლივად დასადგმელად ეს ორი ნიჭიერი დამწყები რეჟისორი ირჩევს ურთულეს დრამატურგიას.

„სისხლიანი ქორწილის“ პრემიერამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, თავისი დამოკიდებულება მხურვალე ოვაციით და ყვავილებით გამოხატა, ერთი სიტყვით, ამ დღეებში ჭეშმარიტი თეატრალური დღესასწაული შედგა რუსთაველის თეატრში. სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე მაყურებელს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა რუსთაველელთა ამ ახალ ნამუშევარზე.

მიხეილ თუმანიშვილი:

მაყურებლის რეაქცია ყველაზე ზუსტი ბარომეტრია სპექტაკლის ავ-კარგიანობისა. დღეს ვნახეთ, რომ სპექტაკლი საზოგადოებამ კარგად მიიღო.

ლევან წულაძე ჩემთან სწავლობდა სარეჟისორო ფაკულტეტზე. მე ვთვლი, რომ „სისხლიანი ქორწილი“ ძალიან საინტერესო ნამუშევარია — კომპოზიციურად შეკრული. მსახიობების უმრავლესობა ძალიან კარგად თამაშობს. კარგად არის მიგნებული პლასტიკური გადაწყვეტა. მიხარია, რომ ჩემმა მოწაფემ ასეთ წარმატებას მიაღწია. ამ დადგმის მეორე რეჟისორი მერაბ სვირავა კი რობერტ სტურუას მოწაფეა, ისე რომ, „შვილიშვილად“ მეკუთვნის — ჩვენ ქართული თეატრის სამ თაობას წარმოვადგენთ.

სცენის ისეთი გამოცდილი ოსტატები როგორებიც არიან ზინა კვერენჩხილაძე და ედიშერ მაღალაშვილი, ახალგაზრდა თაობას უმაღლესი პროფესიონალიზმის მაგალითს აძლევენ. საერთოდ, ლორკას დრამატურგიაზე შექმნილ ამ ანსამბლურ სპექტაკლში მიღწეულია ღრმა დრამატიზმი, რომელიც ესოდენ ნიშანდობლივია თვით პიესისათვის. ამასთანავე დადგმაში საკმაოდ რელიეფურად გამოიკვეთა ნიჭიერი ახალგაზრდების ბაია დვალიშვილის და ლელა ალიბეგაშვილის სცენური ტალანტი.

ნოდარ გურაბანიძე: თეატრმცოდნე, ჟურნალ „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი.

ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ ერთ-ერთი უმშვენიერესი პოეტური ტრაგედიაა მსოფლიო დრამატურგიაში. ქართულ სცენას მისი დადგმის საკმაო გამოცდილება აქვს. სხვადასხვა დროს იგი იდგმებოდა სოხუმის ქართული თეატრის, თელავისა და თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სცენებზე. აქ არ შეიძლება არ გავიხსენო მაშინ სრულიად ახალგაზრდა რეჟისორების თენგიზ მაღალაშვილისა და ნანა ხატისკაცის მიერ დადგმული ეს პიესა (თელავის თეატრში), აღბეჭდილი ჭეშმარიტი პოეტურობითა და სცენური მეტაფორიზმებით.

ჩვენ კვლავ ვიხილეთ ეს პიესა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე და კიდევ ერთხელ ვეზიარეთ ლორკას ტრაგიკული სულის არსებას. დადგმა განახორციელეს ახალგაზრდა რეჟისორებმა მ. სვირავამ და ლ. წულაძემ. ეს მათი რეჟისორული დებიუტია ამ სახელგანთქმულ სცენაზე და უნდა ითქვას, რომ დიდად გასახარი დებიუტი!

ეს სპექტაკლი ჭეშმარიტად ახალგაზრდულია, თუმცა მასში მონაწილეობენ სცენის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან ზინა კვერენჩხილაძე და ედიშერ მაღალაშვილი. ახალგაზრდულია იგი თავისი სულისკვეთებით, ახალი სამყაროს პირველი ხილვით მოგვრილი სიხარულის შეგრძნებით, შეურყვნელი გულწრფელობით.

რეჟისორებმა (და ახალგაზრდა მსახიობებმა ლევან ბერიკაშვილმა, ლელა ალიბეგაშვილმა, ბაია დვალიშვილმა, ია ნინიძემ, ხათუნა მჭედლიძემ) შეძლეს ლორკას ამ პირობით-პოეტური სამყაროს პლასტიკური ადეკვატის პოვნა, მისი რიტუალური სულის, ტრაგიკული ბედისწერის მოახლოვებით გამოწვეული გაუცნობიერებელი შიშის სიმძაფრის პულსაციის გადმოცემა.

ესაა მხოლოდ: სპექტაკლს აკლია ვნებათა სიმძაფრე, ვიტყოდი, მამაკაცური ძალმოსილება, დაუოკებელი ვნებიანობა, რაც ტრაგედიის სათავეა აქ. სპექტაკლი ჯერჯერობით ვერ ადის ნამდვილ ტრაგიკულ განცდამდე, რამაც უნდა შესძრას მაყურებელი, მას აკლია ის მაღალი შთაგონება, რასაც „დუენიას“ უწოდებდა გარსია ლორკა, „დაიმონს“ ჩვენი დიდი გალაკტიონი. შესაძლოა ეს აიხსნას მთავარი გმირების — სასიძოს (ლევან ბერიკაშვილი) და საპატარძლოს (ლელა ალიბეგაშვილი) როლების შემსრულებელთა ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით, ანდა, ტრაგიკული ქლერადობის ზოგი მონოლოგის შეკვეცით. სიყვარული აქ უმალ პოეტური განცდაა, ვიდრე ბედისწერა, რომელსაც ვერავინ გაექცევა. თუმცა ლორკას ტრაგედიის ამგვარი გახსნის თავისუფლებაც არსებობს, რაც მშვენივრად გამოიყენეს ჩვენმა ახალგაზრდა რეჟისორებმა.

გულწრფელად ვულოცავ ახალგაზრდებს ამ წარმატებით დებიუტს. მხოლოდ ერთს ვუსურვებ — ნუ დაემსგავსებიან იმ რეჟისორებს, რომლებიც ორ-სამ სეზონში თითო სპექტაკლს დგამენ. ახლა აქვთ მათ დროც და შესაძლებლობაც ინტენსიური მუშაობისა და აუცილებლად უნდა გამოიყენონ ეს. ამ გამარჯვებამ მხოლოდ უნდა წაახალისოს ისინი და არა შეაკრთოს!

დონარა კანდელაკი: თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი:

— თუმცა მერაბ სვირავას და ლევან წულაძეს არასპეციალურ საგანს ვუკითხავდი თეატრალურ ინსტიტუტში, მუდამ ინტერესით ვადევნებ თვალყურს მათ პროფესიულ ნაბიჯებს. დღეს ნასიამოვნები მივდივარ თეატრიდან. ვნახეთ საინტერესო, ემოციური, აქტიორული სახეებით მდიდარი სპექტაკლი, მაყურებელმა თბილად მიიღო იგი. დღეს, როცა ყოფა ასე ძალუმად გვაწვება, როცა ადამიანებს ასე სჭირდებათ სულის მოთქმა, სულის საზრდო, ამ სპექტაკლმა ამაღლებული განწყობილება მოიტანა, დღეს ზეიმი იყო თეატრში, მე მინდა დამწყებ რეჟისორებს დავულოცო გზა დიდ ხელოვნებაში, ეს კედლები ინახავს კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, დიმიტრი ალექსიძის სუნთქვას. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც ყველა ხელოვანს უნდა ახსოვდეს, ვინც ამ თეატრში ქმნის.

კარლო კუცია: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

— რუსთაველელთა ახალი ნამუშევარი ქართული თეატრის უკანასკნელი სეზონების გამორჩეული სცენური ქმნილებაა უთუოდ. იგი მაყურებელს ხიბლავს მაღალი თეატრალური კულტურით, ზუსტად გამიზნული რეჟისორული აზროვნებით, სახოვანი მხატვრული და მუსიკალური სამყაროთი და შესანიშნავი აქტიორული ანსამბლით, რომელსაც ბრწყინვალედ უძღვებიან ქართული სცენის დიდოსტატები ზინა კვერენჩხილაძე და ედიშერ მაღალაშვილი. გარსია ლორკას ტრაგედიამ „სისხლიანმა ქორწილმა“ რუსთაველის თეატრის სცენაზე ჭეშმარიტად ღირსეული განხორციელება ჰპოვა. სპექტაკლის განსაკუთრებულ ღირსებად ვთვლი იმას, რომ იგი ძალუმად ეხმაურება თანამედროვეობას, რამეთუ, ქადაგებს მოყვასის სიყვარულს და მაღალ ჰუმანიზმს.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

სურათებზე: ლელა ალიბეგაშვილი — სარძლო, ლევან ბერიკაშვილი — სასიძო; ზინა კვერენჩხილაძე — დედა, ედიშერ მაღალაშვილი — სარძლოს მამა.

იური მურადოვის ფოტოები.

სპორტი

მიხეილ ტალი:

„კასპაროვი გაიმარჯვებს ანგარიშით... 12—12!“

ამ დღეებში იუგოსლავიაში მყოფმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ტალმა ინტერვიუ მისცა ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტს. აი, რა განაცხადა პოპულარულმა რიგელმა დიდოსტატმა.

— კასპაროვი მოიგებს ამ მატჩს ანგარიშით... 12-12! ამ მეტოქეთა წინა მატჩი 1987 წელს სევილიაში ზუსტად ასეთი ანგარიშით დამთავრდა მას შემდეგ, რაც კასპაროვმა შეძლო უკანასკნელი 24-ე პარტიის მოგება. კასპაროვისა და კარპოვის ყველა წინანდელი ორთაბრძოლის ბედი ფინიშზე წყდებოდა. დარწმუნებული ვარ, ასევე მოხდება ლიონში, სადაც გამარჯვებული სულ უკანასკნელ მომენტში უკანასკნელი მატჩების დაძლევისას გამოვლინდება.

კასპაროვი პირველ 12 პარტიაში ძირითადად იმისათვის იბრძოდა, რომ თავისი აშკარად არადამაკმაყოფილებელი სათამაშო მზადყოფნა როგორმე გაეუმჯობესებინა. საერთოდ, ეგრეთწოდებული „პირველი ფორმა“ ძალზე ცვალებადია და ახლა ამ მხრივ კასპაროვს უკეთესობა უნდა დაეტყოს.

სადამდე გაგრძელდება მატჩი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის — თუ ყველა ტაიმაუტი გამოყენებული იქნა და ყველა შეხვედრის გამართვა გახდა საჭირო, მაშინ 24-ე პარტია 29 დეკემბერს დაინიშნება.

— როგორ განაწილდება თანხა საპრიზო ფონდიდან?

— ფონდის 80 პროცენტი მონაწილეებს გადაეცემათ. აქედან ხუთი მერვედი გამარჯვებულს ეკუთვნის, სამი მერვედი — დამარცხებულს, რჩება კიდევ ფონდის 10 პროცენტი. მას ინაწილებენ ფიდე, დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია და საჭადრაკო თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების კომისია. ფიდე და დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია თანხის 3,5-3,5 პროცენტს მიიღებენ, დახმარების კომისია კი — 3 პროცენტს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რამდენს შეადგენს ბოლოს და ბოლოს მატჩის საერთო საპრიზო ფონდი?

ამის შესახებ პრესაში განსხვავებული ცნობები ქვეყნდება, თუნდაც იმიტომ, რომ ფონდი „გზადაგზა“ იზრდება!

ტალმა განაცხადა, რომ თუ სხვადასხვა მრავალრიცხოვან ჯილდოებს არ ჩავთვლით, „წმინდა საპრიზო ფონდმა“ 5 მილიონ დოლარს მიაღწია.

გივი გამრეკელი.

ზუსტი ფსიქოლოგიური განჭვრეტა?!

მეთექვსმეტე პარტიის შემდეგ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო და დაწინაურდა, ექსპერტების უდიდესი უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ კარპოვი მორიგ (ამჯერად მეორე) ტაიმ-აუტს აიღებდა. შესაძლოა, სწორედ ასე ფიქრობდა კასპაროვი. აი მისმა მეტოქემ კი ასეთ ვითარებაში დიდი სიმტკიცე გამოავლინა. მან გადაწყვიტა არ გადაეტანა მორიგი პარტია, მით უმეტეს, რომ ჩემპიონი მოგების შემდეგ რამდენიმე „განიარაღებული“ იქნებოდა.

მეჩვიდმეტე პარტიაში კიდევ ერთხელ, ამჯერად მეოთხედ გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა, უკვე მეცხრე სვლაზე კარპოვმა, რომელიც, ეტყობა, კმაყოფილი არ იყო ადრინდელ პარტიებში მიღებული პოზიციებით, ახლებურად ითამაშა. შეიძლება ითქვას, რომ მას არც ამჯერად მიუღია რაიმე უპირატესობა. კასპაროვმა ადრე დაიწყო კონტრთამაში ლაზიერის ფრთაზე, სადაც წინ დასძრა პაიკი, კუ კი სტრატეგიულად მნიშვნელოვან უჯრაზე განალაგა.

აი, მომდევნო თამაშში კი კასპაროვმა მისთვის უჩვეულო პასიურობა გამოავლინა. მან თანდათანობით დათმო ღია ხაზი, შემდეგ კი დაუშვა თეთრების ცენტრალური პაიკის წინსვლა მეშვიდე ჰორიზონტალამდე. კასპაროვი ერთბაშად ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომ იძულებული გახდა თეთრების გამსვლელი პაიკის შესაჩერებლად თავისი უძლიერესი ფიგურა — ლაზიერი „მოეცდინა“. ახლა პარტიის მოგებას მხოლოდ ერთი რამ სჭირდებოდა — სიზუსტე, რაც კარპოვს ახასიათებს კიდეც. მისი მეორმოცე სვლის შემდეგ, როცა კასპაროვის ნებისმიერი მანევრი შავების პოზიციას კიდევ უფრო გააუარესებდა, ჩემპიონმა პარტიის გადადებას დანებება არჩია.

ამრიგად, ჩვიდმეტი პარტიის შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 8,5:8,5. დღეს მატჩზე დასვენების დღეა, ხოლო მორიგი პარტია ხვალისთვის არის დანიშნული.

რედაქციისაგან:

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან ბატონ ოთარ ხატიაშვილთან. ამ ინტერვიუს პირველი სვეტის ბოლოდან მეორე შეკითხვის პასუხში ბ-ნი ოთარი ამბობს: „...ყოველნაირად მომზადა ეს აქცია საქართველოს სუკ-მა“. ინტერვიუს წაკითხვისას ეჭვი არავის უნდა დაებადოს, რომ ლაპარაკია სუკ-ის წარმომადგენლობის მაღალ ეშელონზე, თუმცა, მაინც ვიმეორებთ ბ-ნ ოთარის ნებართვით, რომ ამ წინადადებაში ნაგულისხმევია საქართველოს სსრ სუკ-ის ხელმძღვანელობა. კიდევ ერთი: როგორც დადგინდა, 9 აპრილს 3 საათზე საქ. სუკ-ში გამოუცხადებიათ „ოტბოი“, გაუთავისუფლებიათ თანამშრომლები, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ ხელმძღვანელობამ ბევრი რამ იცოდა.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის III კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის განცხადება

1990 წლის 8-9 დეკემბერს თბილისში საზოგადოება „ცოდნის“ საკრებო დარბაზში (მერაბ კოსტავას ქუჩა) გაიმართება საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის III კონფერენცია, რომელიც მუშაობას შეუდგება 8 დეკემბერს დილის 11 საათიდან.

კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 7 დეკემბერს, დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 8 დეკემბერს, დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის III კონფერენციის საორგანიზაციო კომისია.

ტელევიზია

თბილისი

პარასკევი, 7 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.30 — ხალხური შემოქმედება — მღერის ანსამბლი „მაფშალია“. 16.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ბებიები და შვილიშვილები“. 18.05 — მოსწავლეთათვის — „კომპოზიტორ რ. სებისკვერაძის სიმღერები“. 18.35 — დოკუმენტური ეკრანი. 19.25 — განცხადებები. 19.30 — ქსნის ხეობაში. 20.00 — მოამბე. 20.35 — რეკლამა... რეკლამა... 20.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ცისფერი ყანწები“. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „შიში“. 0.10 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 16.00 — სატელევიზიო დადგმა „უფლისწული და მათხოვარი“. 17.15 — ფილმ-სპექტაკლი „ყალბი ფული“. 19.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკანასკნელი დღე“. 1-ლი და მე-2 სერია.

მოსკოვი

პარასკევი, 7 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.30 — მხატვრული ტელეფილმი „ვარიანტი ომეგა“. V სერია. 9.40 — „სიტყვა“. 11.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 12.30, 18.30 და 21.00 — „ვრემია“. 15.30 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 15.45 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 16.10 — „მწვანე ლამპა“. 16.45 — კონცერტი. 17.30 — „ტელეეკო“. 18.00 — შეხვედრა „ფერსკოტის“ (ფინეთი) ჯგუფთან. 19.00 — ლ. ბერნსტაინი — სიმფონიური ცეკვები მიუზიკლიდან „ვესტსაიდის ამბავი“. 19.25 — მულტფილმი. 19.35 — არადიპლომატიური საუბრები. მონაწილეობს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა. 20.00 — „თვალსაზრისი და სხვანი“ წარმოგვიდგენენ. 21.40 — კოლაჟი. 21.45 — სსრ კავშირის მთავრობაში. 21.55 — „ეს იყო...“ 22.15 — „თვალსაზრისი და სხვანი“ წარმოგვიდგენენ. შესვენებისას (23.55) — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური.

მეორე პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.15 — სამეცნიერო-პოპულარული ალმანახი. 8.35 და 9.35 — გარესამყარო. 1 კლასი. 8.55 და 9.55 — დოკუმენტური ფილმი. 9.05 და 10.05 — ინგლისური ენა. 10.35 და 11.35 — გეოგრაფია. VI კლასი. მთა და ბარი. 11.05 — დედა, მამა და მე. 12.05 — გამოდის ქ. კრასნოდარის ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლი. 12.15, 14.15, 18.15 და 21.40 — რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობა. 12.30 — კონცერტი. 13.15 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 13.20 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „სააგარაკო ამბები“. IV სერია. 19.00 — არენა. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.15 — კოლაჟი. 20.20 — დოკუმენტური ფილმი. 20.50 — სპორტი ყველასათვის. 21.05 — ფილმ-კონცერტი. 23.40 — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების განყოფილება 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში. ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა